645
1977/4

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ოქტომბერი
№ 10 1977 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ა მორგუნოვის ფოტო

წელს 24 სექტემბერს თბილისში გაიმართა მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივი, ხუთწლედების გმირები. სახელმოხვეჭილი მეჩაიეები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმომადგენლები, სსრ კავშირის უმაღლესი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა. არმიის წარმომადგენლები. დარბაზში იყვნენ აგრეთვე რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონების, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების პარტიულ-სამეურნეო აქტივის წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი, სპეციალისტები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი...

ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა უდიდესი შრომითი წარმატება მოიპოვეს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა, მთელი ქართველი ხალხის უდიდესი აღფრთოვანება და აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულითადმა მილოცვამ, რომელიც საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს აღაფრთოვანებს ახალი გამარჯვებებისათვის.

საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის ინტენსიური აღმავლობა, რასაც დღეს ვხედავთ, შესაძლებელი გახდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების, იმ ჭეშმარიტად მშობლიური მზრუნველობის მეოხებით, რომელსაც ნიადაგ იჩენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო და პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის, ქართველი ხალხის კულტურისა და კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არის 405.000 ტონა ქართული ჩაი!

## დიდი გამარჯვება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

**ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

**ამხანაგ პ. გ. გილაშვილს**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

**ამხანაგ ზ. ა. პატარიძეს**

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად ვულოცავ საქართველოს კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს, ჩაის ფაბრიკების კოლექტივებს, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებს, ყველა მშრომელს სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას. რესპუბლიკის მეჩაიეებმა, რომლებმაც დაამზადეს 405 ათასი ტონა ეს მეტად ძვირფასი პროდუქცია, გადალახეს მეათე ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის გათვალისწინებული მიჯნა. ეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა ღირსეული წვლილია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებაში.

მოპოვებული წარმატება სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის თავდადებული შრომის, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები კვლავაც მეტი სიმტკიცით იბრძოლებენ ჩაის, ყურძნის, ციტრუსებისა და სხვა სამხრეთული კულტურების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეტ წვლილს შეიტანენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, წარმატებით დაგემთავრებინოთ სასოფლო-სამეურნეო წელი, შეგესრულებინოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები და ვალდებულებანი, მიგეღწიოთ ახალი მიჯნებისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში.

ლ. ბრეჟნევი

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კომკავშირის პრემიის ლაურეატები

## ჩანახატები



გინახავთ როგორ აწყობენ უზარმაზარ თვლიან საწევარს, თანდათან როგორ იქცევა იგი ულამაზეს მანქანად? აგუგუნდება მოტორი, ადგილიდან დაიძვრება ადამიანისოდენა თვლები და წავა ერთი, მეორე, მესამე...

ცამეტი გაზაფხული გავიდა მას შემდეგ რაც გალია ნესტეროვა პირველად შევიდა კურგანის თვლიანი საწევრების ქარხნის საამწყობო საამქროში. ქალიშვილი დიდხანს ოცნებობდა ქარხანაზე. მას ძალიან უნდოდა დილით დედმამასთან ერთად ევლო სამუშაოზე, შინ დაბრუნებისას კი თან წამოელო იმ უხილავი ძალის ნაწილი, რომელიც ათასობით ადამიანს ერთ კოლექტივად აკავშირებს, ახალ გზებს უხსნის, სიხარულსაც ანიჭებს და მღელვარებასაც.

ელექტრომემონტაჟის პროფესია გალიამ სწრაფად აითვისა. შემდეგ ტექნიკუმში შევიდა. ყველაფერს ასწრებდა: მუშაობდა, სწავლობდა, გატაცებული იყო სპორტით, აწყობდა ახალგაზრდულ სალამოებს და მოგზაურობებს. ქარხანაში ის ყოველთვის მიიჩქაროდა. ანდა, როგორ შეეძლო სხვანაირად მოქცევა, როცა საამქროში ერთი ყმაწვილი თვალს არ აშორებდა, მის ყოველ სიტყვას იჭერდა, ყოველთვის შესასვლელთან ელოდა.

მხიარული ქორწილი გადაიხადეს...

რას არ მოიმოქმედებს დედა შვილისათვის! მაგრამ გალიამ სამსახური არ მიატოვა, მხოლოდ დროებით ჩამოშორდა თავის საამწყობოს. აი, მაშინ ისწავლა დღეღამის — ოცდაოთხი საათის ეკონომიური განაწილება. დედა და მეუღლე ეხმარებიან, ოჯახში შრომას ინაწილებენ. ქარხანასთან კი საბავშვო ბაგა-ბაღია. შარშან საბავშვო კომბინატს სამასი ადგილი დაემატა. ალენკა ისეთივე მხიარული იზრდება, როგორიც მისი დედაა.

ძნელი იყო, მაგრამ გალიამ ტექნიკუმი მაინც წარჩინებით დაამთავრა. ახლა ტექნოლოგად მუშაობს. ამ ხნის მანძილზე ათასობით მანქანამ გაიარა მის ხელში. ის დღესაც ისე აღფრთოვანებული შეჰყურებს სახელგანთქმულ კონვეიერს, როგორც პირველად, თითოეულ მანქანასთან ფუსფუსებს, შორეულ მოგზაურობაში აცილებს. კურგანელებმა მეორედ აირჩიეს გალია ნესტეროვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ის კომკავშირის საოლქო კომიტეტის და ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრია, დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მიღებული აქვს კომკავშირული ჯილდოები.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები გალია ნესტეროვამ თავის სისხლხორცეულ საქმედ ჩათვალა. „ჩემთვის შრომა სიხარულია, და თუ შრომა სიხარულია, მაშინ ცხოვრება ბედნიერებაა!“ — ამბობს იგი, — მსურს მშვიდობისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის უფრო უკეთ ვიშრომო.



ლენინური კომკავშირის აღზრდილმა, საბჭოთა კომუნისტების პარტიის ფორუმის დელეგატმა, ყრილობის სამდივნოს წევრმა ქეთევან გოგიტიძემ სოციალისტური შრომის გმირობა ოცი წლის ასაკში მიიღო.

ჯერ კიდევ ბავშვი იყო, დედას ჩაის ფოთლის კრეფაში რომ ეხმარებოდა. ყველაფერი აქედან დაიწყო — ჩაის პლანტაციებმა მას თავბრუ დაახვია, მოაჯადოვა, განსაკუთრებით უყვარდა ჩაის კრეფა მაისში, როცა გაზაფხული ხმაურობს, ირგვლივ ყველაფერი ყვავის და მღერის, ბუნება თითქოს ამბობს, შემომხედე, რა ლამაზი ვარო! ქეთევანი ჩაის მწვანე ბუჩქებს შორის მიდის, მისი ხელები მხოლოდ ერთ წამს ეხება ფოთლებს, შეუცდომლად პოულობს იმ ფოთოლს, რომელიც ყველაზე ადრე შემოვიდა...

ქართული ჩაი მხოლოდ სამხრეთის მზისა და მთების წყალობით როდია არომატული. მას კეთილი, მზრუნველი ხელები მატებს გემოს. ჩაის ბუჩქი ბავშვივით არის — თვალს ვერ მოაშორებ, ვერც ზამთარში და ვერც ზაფხულში უყურადღებოდ ვერ დატოვებ. ამ მარადმწვანე ბუჩქებთან ის იმა-

რჯვებს, ვინც მოსვენება და დაღლა არ იცის, ვინც შეუპოვარი და მტკიცეა, ვისაც უყვარს მიწა...

სკოლის დამთავრების შემდეგ ქეთევანმა თავისი ნაკვეთი მიიღო. პლანტაციას მოთმინებით და სიყვარულით უვლიდა, თითოეულ ბუჩქს თავს დასტრიალებდა, კვებავდა, უფროსებს რჩევას ეკითხებოდა. და როცა ჩაის კრეფის დრო მოვიდა, მარტო მშობლიური სოფელი ბობოყვათი კი არა, მთელი ქობულეთის რაიონი გააკვირვა. რვანახევარი ტონა ჩაის ფოთოლი ხუთის ნაცვლად — ასეთი იყო მისი შრომის შედეგი.

მის მკერდზე მალე აკიაფდა გმირის ოქროს ვარსკვლავი და ლენინის ორდენი.

მას შემდეგ რამდენ განთიადს შეხვდა და რამდენი გააცილა! ქეთევანი საკუთარი თავისადმი მომთხოვნი გახდა, მეცხრე ხუთწლედის დავალება ოთხ თვეში შეასრულა, 21 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ეს მისი საჩუქარი იყო პარტიის XXV ყრილობისათვის.

სახელოვანი მეჩაიე ქეთევან გოგიტიძე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. ის საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელი იყო ქალიშვილთა მსოფლიო შეკრებაზე და ბულგარელ და საბჭოთა ახალგაზრდობის მეგობრობის ფესტივალზე. შემდეგ კომკავშირის XVII ყრილობის დელეგატად აირჩიეს. მაგრამ სადაც უნდა იყოს ქეთევანი, ყოველთვის მიეჩქარება მშობლიურ მხარეში, თავის პლანტაციაში.

ბავშვობაში ოგულნაბატი სიყვარულით აკვირდებოდა ბებიის მოქნილ ხელებს, რომლებსაც სხვადასხვაფერის ნასკვებიდან ხაზები და ახალი ორნამენტები გამოჰყავდა. საოცარი ორნამენტები — ზოგან ხასხასა, მხიარული, ზოგან თითქოს სევდიანიც, მას მოსვენებას არ აძლევდა, წარმოსახვას უფორიაქებდა. ოგულნაბატს ძალიან უნდოდა სურათოვანი ხალიჩების ქსოვის შესწავლა, თარგების წაკითხვა და მათი უტყვი ენის გაგება.

და აი, გადადგა პირველი ნაბიჯი ცნობილი აშხაბადის ხალიჩების ფაბრიკაში. ათობით რთული ოპერაცია უნდა შეესწავლა. აღიარება უცბათ არ ხვდომია წილად. მაგრამ მისი ოცნება ფრთას ისხამდა. ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავისადმი და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდამეათე წლისთავისადმი მიძღვნილ დიდ სიუჟეტურ პანოების შექმნაში, სხვა საუკეთესო მქსოველებთან ერთად, ოგულნაბატიც მონაწილეობდა.

ახლა იგი უმეტესად პორტრეტებს და პანოებს ქმნის, მოქსოვილი აქვს პუშკინის,



შევჩენკოს, ჯავაჰარლალ ნერუს პორტრეტები.

ჰოლანდიაში, საბჭოთა სამრეწველო გამოფენაზე, სადაც ოგულნაბატი თავის ხელოვნებას პატარა დაზგაზე აჩვენებდა, დამთვალიერებლები ეკითხებოდნენ, რამდენი ხალიჩა გაქვს მოქსოვილი, რამდენი ნასკვი გაქვს ამოყვანილიო. ეს შეკითხვა მას პოლონეთშიც მისცეს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც, მოსკოვში ქალიშვილთა მსოფლიო შეკრებაზეც.

დღეში ჩვეულებრივ თერთმეტ-თორმეტ ათას ნასკვს ვიყვან. ხალიჩების ფაბრიკაში 1963 წლიდან ვმუშაობ და ასე მგონია ჩემი მილიონი ნასკვი — ერთიანი და გაუწყვეტელია, რამაც ჩემი პირადული ცხოვრება საზოგადოებრივთან სამუდამოდ დააკავშირა. მოწოდება მაპოვნინა.

ფაბრიკაში ოგულნაბატი კომკავშირელი გახდა, პირველი კომკავშირული დავალება აქ მიიღო. კომკავშირის ორგანიზაციის მდივნის მოადგილედ აირჩიეს, პარტიაში მიიღეს.

ახლა ოგულნაბატ მუხამედოვა თურქმენეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. ის ნდობას ბრწყინვალედ ამართლებს — მეცხრე ხუთწლედი ვადაზე ადრე შეასრულა, აშხაბადის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ფრიადზე“ და „კარგზე“ სწავლობს, ყოველთვის მზად არის დაეხმაროს ადამიანებს.

თავისუფალ წუთებში ოგულნაბატს ოცნება უყვარს. მომავალი მას ნათლად და დიდებულად ესახება. მისი ოცნებაა ისეთი ხალიჩა მოქსოვოს, რომელიც მთელ მის გრძნობებს დაიტევს და მოჰყვება ბედნიერი საბჭოეთის მშენებლობის ამბავს.

ნატალია იანინა

სურათები მხატვარ ი. პჩელკოსი

გიორგი გიგაური

## სხივი

სხივი...
ვინ იცის რამდენ
სიცოცხლეს იტევს გულში,
მიმოზებსა და ვარდებს
ველს ფიანდაზად უშლის.

დაქცეულ სისხლის ფასად,
ფასად დალეწილ თორთა,
ციხის,
სასახლის ფასადს
შვენის სხივებით მორთვა.

გახედეთ სოფელს, ქალაქს,
დახედეთ გამთბარ კერებს —
სხივი იფარეს ფარად,
სხივით დროშები კერეს.

სხივით ჩააქრეს ბნელი
მზეს შეფიცულმა ძმებმა,
ჰაუ, რამდენი წელი
გაჰყვა სხივების ძებნას.

ჰაუ, რამდენი კვნესა
ჩაჰყვა ჩაუქთა საფლავს,
გატყდა რამდენი კვესი,
გახმა რამდენი დაფნა...

მაინც მოედო ალი
მომხდურთა ბანს და ბუდეს;
მარანს შევაბით კარი,
მამულს მოვავლეთ ზღუდე.

მიზნის უმაღლეს მწვერვალს
ვუახლოვდებით მშვიდად,
გმირთა ნაბიჯის გვჯერა,
გმირთა სიცოცხლე გვინდა.

მომავლისაკენ სამზერს,
თუ ვუდარაჯებთ მარად,
სამზეო სხივით სავსე
არ მოგვაკლდება, არა.

სხივი ვიფარეთ ფარად,
სხივმა ბექთარი კერა,
სხივი — სოფელს და ქალაქს,
სხივი — აკვანს და კერას.

სხივი — კაცობის, ძმობის,
სხივი — სიმართლის ჩვენის,
სხივი — ლაჩართა გმობის,
სხივი იმედის, რწმენის.

სხივი, სულში რომ წყვილობს,
არწივის დარად ყივის;
დედა-სამშობლოვ, ტკბილო, —
გამარჯვებათა სხივი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 20 წელი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის წინა დღეებში, 1957 წლის ოქტომბერში განახლდა საქართველოს ქალთა ჟურნალების „ჩვენი გზის", „მშრომელი ქალის" კარგა ხნით შეწყვეტილი სიცოცხლე, დაიბადა მათი მემკვიდრე, რომელსაც ჯერ „საბჭოთა ქალი", შემდგომ „საქართველოს ქალი" ეწოდა.

„საბჭოთა ქალი" № 1, ოქტომბერი, 1957 წელი.

რამდენი შრომა, ღელვა, ძიება უძღოდა წინ მის დაბადებას! ჟურნალს ხელს აწერენ: რედაქტორი თეო აბაშიძე, სარედაქციო კოლეგიის წევრები მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პასუხისმგებელი მდივანი), თ ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი და ჟურნალის მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. და აი, გავიდა 20 წელი „საქართველოს ქალის" იმ პირველი ნომრის დაბადებიდან. რამდენი რამ შეიცვალა ამ ოცწლეულში ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, რამდენი სასიკეთო ცვლილება იგრძნო ჩვენმა ხალხმა!

გაიზარდა და სახე იცვალა ქალაქებმა და სოფლებმა. დაიბადა ახალი ქალაქი — მადნეული, გაჩნდა ახალდასახლებები, შეიქმნა კულტურის ახალი კერები, მეურნეობები, საწარმოები, ცხოვრებამ შემოგვთავაზა ახალი პრობლემები, თემები, ფორმები, სახელები და სახე იცვალა ჩვენმა ჟურნალმაც — მისი ტირაჟი 10.000-დან 125 000-მდე გაიზარდა.

შეიცვალა რედაქციისა და სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაც.

1965 წლის სექტემბერში ტრაგიკულად დაიღუპა ჟურნალის რედაქტორი თეო აბაშიძე.

ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე დავკარგეთ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი მირცა კალანდაძე, სარედაქციო კოლეგიის წევრები—გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ქსენია სიხარულიძე და მაღალნიჭიერი მხატვარი ეკატერინე ბაღდავაძე.

ვფურცლავთ ჟურნალებს...

მათი გვერდებიდან შემოგვცქერიან საქართველოს ღირსეული ქალები. გვახარებს მათი პროფესიული და ინტელექტუალური ზრდა, ოსტატობა, გონებისა და მარჯვენის ძალა, მათი ყოველდღიურად მზარდი წვლილი ჩვენი ქვეყნის კულტურისა და სახალხო მეურნეობის აღორძინებაში, ქალთა საერთაშორისო ასპარეზობებში... გვახარებს და გვეამაყება საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა ქალის — მშრომელის, დედის, დიასახლისის, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ ჟურნალის დანიშნულება არ შემოიფარგლება საქართველოს ქალთა ყოველდღიური ცხოვრების ილუსტრირებით — ჟურნალი უნდა იყოს მარქსისტულ-ლენინური იდეების მხურვალე პროპაგანდისტი, პარტიის ერთგული თანამებრძოლი ქალთა მასების იდეურ-პოლიტიკურ, ესთეტიკურ-მორალურ აღზრდაში, იღვწოდეს ჩვენი ცხოვრების მორალური კლიმატის სისპეტაკისათვის, ადამიანთა სულიერი სიწმინდისათვის, ებრძოდეს ყოველივე მახინჯსა და დრომოჭმულს, გზას უკვალავდეს ახალს, მშვენიერსა და პროგრესულს.

ქალთა ჟურნალი ჩვენი ცხოვრების ყველა უბანს უნდა სწვდებოდეს. ყველა ოჯახში უნდა შედიოდეს, როგორც მშრომელი ქალის, დედისა და დიასახლისის მრჩეველი და მეგობარი, ეხმარებოდეს მათ პროფესიულ დაოსტატებაში, ზრდა-დაწინაურებაში, ბავშვთა აღზრდაში, ოჯახის კეთილმოწყობაში; უყურადღებოდ არ ტოვებდეს მშრომელთა არცერთ წერილს, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდეს ცხოვრებისეული კონფლიქტების მოგვარებაში ყველას, ვისაც სჭირდება ეს დახმარება; ზრდიდეს ადამიანებს ხალხთა მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, აახლოებდეს მოძმე რესპუბლიკების დებთან, გაჰყავდეს უფრო ფართო გადასახედზე — აცნობდეს მსოფლიო კულტურის საგანძურს, რთავდეს მშვიდობისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის საბრძოლველად ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში.

თუ რამდენად ახერხებს ჩვენი მცირე მოცულობის ჟურნალი და მისი რედაქციის პატარა კოლექტივი ამ დიდი, საპატიო ამოცანის შესრულებას, ამის განსჯა მკითხველისათვის მიგვინდია.

ამჟერად ჟურნალი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად ემზადება. წინ კი დიდი გზაა, დიდი პერსპექტივები: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის დიად მშენებლობათა მეათე ხუთწლიანი გეგმის ღირსეულად დაგვირგვინება, შემდგომი ხუთწლედები... შრომა და ბრძოლა ადამიანთა ბედნიერებისათვის. აქეთ მოგვიწოდებს მშობლიური კომუნისტური პარტია, მისი გამობრძმედილი მოღვაწის, სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

... და ამ დიდი იუბილესათვის სამზადისის დღეებში, ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავის კარიბჭესთან, როდესაც თვალს ვავლებთ ჩვენს განვლილ გზას, ჩვენს წვლილს რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცების საქმეში, არ შეიძლება არ მოვიგონოთ ისინი, ვინც საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველი წლებიდან ჯერ კომკავშირული მუშაობით, შემდგომ კი ფართო საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობით საერთო აღიარება და პატივისცემა დაიმსახურა, ისინი, ვინც ამ ოცი წლის წინათ საქართველოს ქალთა განახლებულ ჟურნალს სათავეში ჩაუდგა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მისთვის ფიქრობდა და იღვწოდა.

## თეო აბაშიძე

მან საკმაოდ დიდი, საპატიო გზა განვლო, პარტიის ჩოხატაურის რაიკომის ქალთა განყოფილებიდან — ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციამდე. იყო პარტიის მახარაძის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე, საქართველოს კპ ცკ-ის ინსტრუქტორი, „რემედასის" პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი, საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფკავშირის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს კპ მე-20, 21-ე და 22-ე ყრილობებზე არჩეული იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ.

ყველგან, სადაც კი თეო აბაშიძეს უმუშავია, საოცარი სითბოთი და გულისხმიერებით ხიბლავდა ადამიანებს ეს გონებანათელი, ენერგიული, სიცოცხლით სავსე ქალი, ჩინებული პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.

თავისი სიცოცხლის ბოლო 8 წელი დაჰყო მან „საქართველოს ქალის" რედაქციაში. 8 წელი უძღოდა ჩვენს ჟურნალს, უძღოდა საქმის ცოდნით და სიყვარულით. ამ სიყვარულით სავსემ 56 წლისამ დახუჭა თვალი 1965 წლის 17 სექტემბერს და ვინ იცის, რამდენი საინტერესო გეგმა, აუხდენელი ოცნება წაიღო თან...

საქართველოს საზოგადოებრიობამ, ამხანაგებმა, მეგობრებმა, ჟურნალის მკითხველებმა გულისტკივილით დაიტირეს ეს უდროოდ დაკარგული სახელოვანი ქართველი ქალი.





# მირცა კალანდაძე

ჟურნალის განახლების პირველი დღიდანვე ამოუდგა მხარში თეო აბაშმაძეს კომკავშირული მუშობის დღეებიდანვე მისი ამხანაგი და მეგობარი მირცა კალანდაძე.

საზოგადოებრივი საქმიანობა 18 წლის მირცამ 1928 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის „საქაბრეშუმში" დაიწყო. შემდეგ იმავე რაიონის სკოლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, ხოლო 1932 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში იღვწოდა. აქედან 26 წელი მირცა კალანდაძე საქართველოს ქალთა ჟურნალის პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა; 1933-1939 წლებში „მშრომელი ქალისა" და 1957-1976 წლებში — „საქართველოს ქალის" რედაქციებში, სხვადასხვა დროს კი გაზეთის „შინა მრეწველის", „ახალგაზრდა კომუნისტის", „კომუნისტის" რედაქციებში. „კომუნისტის" რედაქციაში 1941-დან 1957 წლამდე იგი ჯერ ლიტმუშაკად, შემდეგ სხვადასხვა განყოფილების გამგედ მუშაობდა.

1957 წელი. საქართველოს ქალთა განახლებული ჟურნალის რედაქცია...

და თითქოს არც ყოფილა წყვეტილი დრო ქალთა ჟურნალის არსებობაში, მირცა ისევ რედაქციის პასუხისმგებელი მდივნის მაგიდას უზის, ისევ ქალთა პრობლემატიკა, თემატიკა, და ისევ უამრავი საზრუნავი... და განა მარტო ქალთა ჟურნალის ცხოვრება აღელვებდა მას! მირცას ფიქრი საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულს სწვდებოდა, მას ყველა ფაქტი, მოვლენა, ყოველი ადამიანის ბედი აღელვებდა... ასეთი ახსოვთ ნაცნობ-მეგობრებს, ამხანაგებს, ავტორებს, რედაქციის კოლექტივს მირცა კალანდაძე — კოლექტივს, სადაც დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა ამ კეთილმა, ჭკვიანმა, განათლებულმა ქალმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ჟურნალისტმა, გულმართალმა კომუნისტმა და საზოგადო მოღვაწემ.

**მარიკა ბარათაშვილი**

# დედა, პოეტი, მოღვაწე

ასე იცნობენ ნიჭიერ პოეტ ქალს, შესანიშნავი პოეტური კრებულების, საბავშვო პიესების, ლიტერატურული გამოკვლევების, მხატვრული ნარკვევების ავტორს, სამი ვაჟკაცის დედას ლილი ნუცუბიძეს. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ცენტრალური საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს, წიგნის დაუცხრომელ პროპაგანდისტს, ქართველ მწერალთა ქუთათური ოჯახის ღირსეულ წევრს, ჩვენი ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობის აქტიურ მონაწილეს.

ამას წინათ, ქართველ ავტომშენებლებს ოცამდე მწერალი ვეწვიეთ. მიხარია და ერთგვარად მეამაყება, რომ პოეტ ქალს ასე სიყვარულით ხვდებიან მკითხველები. და ისიც ახალი ლექსებით უხდის მადლობას იმათ, ვისი მარჯვენა სჭედს ქართულ ავტომობილს, ქსოვს ქართულ აბრეშუმს, ჰკერავს ქუთათურ პერანგებს, ამზადებს ქუთათურ კონსერვებს...

ლილი ნუცუბიძე ნაყოფიერი შემოქმედია, მის სტრიქონებს მღერიან მთელ საქართველოში, მისი ლექსები ზეპირად იციან ბავშვებმა, მოზარდებმაც...

პოეტ ქალს 50 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ.

მისგან კიდევ უფრო მეტს მოელის მკითხველი. მოელის და სწამს.

**დავით კვიცარიძე,**
მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია თავის ხმას უერთებს ამ მილოცვას და უსურვებს პოეტ ლილი ნუცუბიძეს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მრავალ შემოქმედებით წარმატებას.



**ლილი ნუცუბიძე**

## მთებია ჩემი მამულის სიბრძნე

ერთხელ ვიღაცამ გულის განგებით —
როცა წაჰკიდა ღვინომ ალმური —
სადღეგრძელოში თქვა დანანებით,
პატარააო ჩემი მამული.
მაგრამ ამ ქედებს, ამ მთებს და გორებს
ხელის გულივით თუ გავასწორებთ
სხვაზე ნაკლები სიგრძით და განით
აღარ ვიქნებით აღარასოდეს.
ისმინოს ყველამ, არ ესმის ვისაც,
ჭეშმარიტება, არა იგავი:
დედის კალთა და მშობელი მიწა
არ იზომება სიგრძე სიგანით.
რად მინდა ფუჭი განი და სიგრძე
სული მზეებით თუ არ ივსება,
მთებია ჩემი მამულის სიბრძნე,
სიმაღლე ჩემი ქვეყნის ღირსება!

* * *

რომ არ ყოფილიყო
გელათი, ვარძია,
სვეტიცხოველი —
საქართველოს
გული მფეთქავი,
რომ არ ყოფილიყო
მთაწმინდა,
მე ვინ ვიქნებოდი
ნეტავი.
რომ არ ყოფილიყო
მტკვარი და რიონი
ანდა არაგვი და ანანური,
რომ არ ყოფილიყო
შოთა და ვაჟა
რომ არ ყოფილიყო
გადაკეტიონი
მე ვინ ვიქნებოდი, სადაური?

## სიცოცხლე მიტომ გვიხარია

მე რომ ვარ,
შენ რომ ხარ,
ის როა,
— სიცოცხლე მიტომ გვიხარია!

ცა როა,
მზე როა,
ყვავილები...
— სიცოცხლე მიტომ გვიხარია!

ვიღაც რომ გველის,
ვიღაცას რომ ველით
სიცოცხლე მიტომ გვიხარია!

ვიღაცა რომ გვეძებს,
ვიღაცას რომ ვეძებთ,
— სიცოცხლე მიტომ გვიხარია!

ცხოვრება ხიდია,
მოვდივართ, მივდივართ
— სიცოცხლე მიტომ გვიხარია!

ორივე კარები
ღიად რომ იყოს —
ცხოვრება განა ჭიშკარია!

რომ გვიყვარს,
ვუყვარვართ,
ვაწვალებთ,
გვაწვალებს, —
სიცოცხლე მიტომ გვიხარია!

კარლო კობერიძე



# ქებათა ქება ხელებისა

ნინო დრეიძე (შუაში)

ერთდროულად სამი ქალი შემოვიდა თავმჯდომარის კაბინეტში. მასპინძელი ვიდრე გამაცნობდა ნინო დრეიძეს, მე უკვე გუმანით მივხვდი, რომელი უნდა ყოფილიყო: გარუჯული სახე, ფერშეცვლილი კაბა და ჯაფით გაუხეშებული ხელები, თითქმის ყოველდღე ველ-მინდორში, ზვარში ყოფნა, მზე და ქარ-წვიმა თავის ნათელ კვალსა ტოვებს. ასეთ კეთილ ხელებზე ბევრი ქებათა ქება თქმულა: გადაუღიათ ფილმი, დაუწერიათ რომანი, პოემა, მოთხრობა, ლექსი, სიმღერა... და მაინც ცოტაა, ძალიან ცოტა... რაც უნდა საოცრად მოგეჩვენოთ, არიან ადამიანები, რომლებიც ელამი თვალით უყურებენ „სოფლის მწერლებს“ ანუ იმ მწერლებს, ვისი კალამიც სოფელს უტრიალებს. ამ ამბავს ისინი პროვინციალიზმად ნათლავენ, ეს მათი აზრით, უკან მიხედვაა, უკან მიბრუნება. მათ, ალბათ, ავიწყდებათ დამაფიქრებელი სიბრძნე: ვიდრე წინ გაიხედავდე, ჯერ უკან უნდა მიიხედოო; ავიწყდებათ, რომ სამშობლოს სიყვარული მშობელი მიწის სიყვარულია... უსამშობლოო კაციაო, უმიწაწყლო კაცზე იტყვიან. უსამშობლოო-უმიწაწყლო კაცის ვაჟკაცობა — მომხდურისათვის თავი რომ შეეკლას, არც გაგონილა და არცა თქმულა. და თუ სამშობლოს სიყვარული უპირველესად მიწით იწყება, მაშინ ესეც ვიკითხოთ: გლეხზე უფრო მეტად ვინ იცის მიწის მადლი და ფასი! მიწაა ყველაფრის სათავე: სიხარულისაც, სიმძიმილისაც... ყველაფრისა, „უკვდავების წყარო“ მცონარა კაცის ფანტაზიის ნაცოდვილარია. უკვდავების წყარო თვალთხილული მიწაა, მიწაა და ხელები!...

თბილისის ბაზარზე ერთხელ მეც გავხდი ასეთი ამბის მომსწრე: საზოგადოებრივი წესრიგის დამცველები, ასე ვთქვათ, საგულდაგულოდ ამოწმებდნენ სპეკულაციაში შემჩნეულ თვალით გაურკვეველი ეროვნების ხალხს, დაჟინებით თხოვდნენ დახლთან დგომის საბუთს. ასეთ საბუთში უნდა ეწეროს, რომ მავანი და მავანი ნამდვილად ამა და ამ რაიონის ამა და ამ სოფლის მკვიდრია, ამა და ამ საქმეზე კეთილსინდისიერად მუშაობს და ნამდვილად უთესია საზამთრო, ნესვი, კიტრი, პამიდორი, ხახვი... ან ნამდვილად ჰყავს ძროხა, ღორი, ცხვარი, ქათამი, ან ნამდვილად აქვს ვენახი... იმაზეა დამოკიდებული, რა ჩამოიტანა და რას ჰყიდის. ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერჯერობით ისევ ადვილია, ამგვარი, ყალბი საბუთების შოვნა და აქედან—თავის დაძვრენაც.

ვისაც ბაზრის დახლთან დაყუდებული ენადგაკრეფილი სპეკულიანტი გლეხში ეშლება, მან არ იცის უმთავრესი საბუთის შემოწმება — ხელების შემოწმება! სულ სხვაა გლეხის ხელები: დამსკდარი, დაშაშრული, დააბედებული ხელები. ასეთ ხელებს ჩვენი მარჩენალი მიწის სურნელი აქვს და სასწორ-საწონს ძნელად ეგუება...

მასპინძელმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რობინზონ მღებრიშვილმა გამაცნო ნინო დრეიძე. რობინზონ მღებრიშვილს ბავშვობიდან ვიცნობ, ერთ სკოლაში ვსწავლობდით და მას აქეთ თვალიდან არ დაგვიკარგავს ერთმანეთი, მას აქეთ ერთმანეთის ასავალდასავალი, როგორც იტყვიან, ჩვენი ხუთი თითივით ვიცით. ნინო დრეიძე რომ ვახსენე, ბუნებრივია, მიხვდა რატომაც მაინტერესებდა და, ვიდრე მის მოსაძებნად მანქანით გაგზავნიდა ვინმეს, ჯერ ეს მითხრა:

— კარგი ქალია, კარგი ოჯახის პატრონი, საქმის მცოდნე, საქმის ერთგული, დაუზარელი... შენ აგაშენა ღმერთმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე მის მოსაძებნად ვინმეს გაგზავნიდა-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ უკვე დილის რვა საათი იყო. ამ დროს ბრიგადირებს დავალება მიღებული აქვთ, ხალხიც გაფრთხილებული ჰყავთ — სად რა უნდა გააკეთონ და, რას გაიგებ, საით იქნება ახლა! სხვათაშორის, ის დღე კვირა იყო. მაგრამ მოჭარბებული საქმე უშფოთველ ძილს რომ არ განებებს, რომელია კვირა და რომელი ორშაბათი, აღარ გაირჩევა! ვითომ ერთი დღე ერთი დღეა, მაგრამ მთლად ასეც არ არის. ყოველმა კახელმა გლეხმა იცის და აგრონომებს ხომ უკეთ მოეხსენებათ, ვენახს სამჯერ მაინც უნდა სწორზე შეწამვლა. ერთი დღე რომ გადააცდინო, აშკარად საზიანოა. მაგრამ ვთქვათ და გადააცდინე, ერთიც ვნახოთ და ის გადაცდენილი დღე წვიმიანია, მაშინ? მაშინ თუ არ განახევრდა ვენახი, სულ ცოტა მესამედი მაინც დააკლდება. ასე რომ, ერთი დღე თორმეტ-თერთმეტ საათს კი არა, ზოგჯერ წლის მოსავალს ნიშნავს.

საგარეჯოელია ნინო დრეიძე — იქ დაამთავრა საშუალო სკოლა და იმ წელსვე განაგრძო სწავლა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტზე.

ნინომ 1944 წელს დაამთავრა ინსტიტუტი და გურჯაანის რაიონის მიწგანის აგრონომად გაამწესეს. უხერხული იქნება, ასე რომ ვთქვათ: დაამთავრა ინსტიტუტი და მუშაობას ხალისიანად შეუდგა. სადღა იყო ხალისი! — შიმშილი, სიცივე, სიშიშვლე... მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება მაშინაც და ახლაც, სიკვდილია მაინც, — ამაზე არავინ კამათობს. ყველაფერს ეგუება, იტანს ადამიანი, თუმცა ვაი, ამ ატანას: შორეულ მიწაზე იხოცებოდნენ, ჯანღონითსავსე, ლამაზ-ლამაზი ბიჭები. ზოგის მშობლები იღებდნენ შავ ქაღალდს და შვილისეულ ტანსაცმელს დასტიროდნენ, ზოგი კი დღესაც მოელის მათ დაბრუნებას და ამ იმედით ცოცხლობს. მაშინ ადამიანებს ნამდვილად აკლდათ ხალისი, მაგრამ თავდაუზოგავად ირჯებოდნენ, ვინაიდან მოვალეობამ ხალისი დაჩრდილა. ეს აშკარად უფრო მეტი იყო, ვიდრე ის სიტყვა, რასაც ენთუზიაზმს ვეძახით.

დაიწყო ნინომ მუშაობა და სიძნელეებმაც ნელ-ნელა იჩინა თავი: ერთ ადგილზე არასოდეს ჰქონია საქმე — ხან რაიონის თავში იყო, ხან — ბოლოში, და მაშინ, როცა უგზოობა, უტრანსპორტობა, ათასი ფიქრი და ჯახირი. არასოდეს გასტირებია სტუდენტობას, რაკი არც სტუდენტობის წლები ჰქონია მზითა და ია-ვარდით მოფენილი — ომმა ყველას თავისი ვება, მოუშორებელი ჩრდილი გადააფარა. შენიანი რომც არ დაღუპულიყო, სხვისი დარდი და ვარამი მაინც არ მოგასვენებდა. გარეგნულად ამისი დამალვაც შეიძლება, ოღონდ გული შეგანჯღრევს, გული მოუმატებს ბაგა-ბუგს.

ერთი წლის შემდეგ მამამ საგარეჯოში წაიყვანა ნინო — იქაც მიწგანში მუშაობდა, ხუთი სოფელი ებარა. ახლა თითქოს შეუმსუბუქდა ცხოვრება — რაც არ უნდა იყოს, საკუთარი ჭერი მაინც სხვაა!

მაგრამ გულმა მალე ისევ გურჯაანისაკენ გაუწია — ხუთი წელი მუშაობდა ძველ ადგილზე. მერე ვაზისუბნელ ბიჭს გაჰყვა ცოლად და თვითონაც ვაზისუბანში გადავიდა სამუშაოდ. 1960 წლამდე აგრონომად იყო კოლმეურნეობაში, მას აქეთ კი მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირია.

ვისაც ბევრი არაფერი გაეგება ვენახისა, ისეთი წარმოდგენა აქვს, თითქოს სეზონურ მუშაობას მოითხოვს. თანაც ამგვარი, უკაცრაული პასუხი — აზრი ისეთ-ისეთი ვინმეებისაგან მომისმენია, ფიქრში გამეორებაც კი მეუხერხულება. ცნობისმოყვარე თვალით რომ გახედო შორიდან, ყოვლისმცოდნე და ყოვლისმხილველი გეგონება. ეს, ერთი შეხედვით, უბრალო სიტყვები მათი შრომის დაუფასებლობას ნიშნავს, ვისი ოფლიც ურევია მის სადღესასწაულო სუფრაზე ჩამოდგმულ ნაირ-ნაირი ეტიკეტებით აჭრელებულ ღვინოს... კაცმა რომ თქვას, არც გაემტყუნება — ასეთი ვიღაც-ვიღაცეები, ნამდვილად ვიღაც-ვიღაცეები, კახეთს შემოდგომით იცნობენ, მაშინ კი ვენახი ცაგახსნილია, მოხნული, მავთულგაჭიმული, არც სარი ერჟევა და არც ასახვევი ყლორტები უწყვია მიწაზე... ბარაქიანი რთველია, ჩემო ბატონო და, ყველას ემღერება... აბა, აპრილ-მაისში ჩამობრძანდეს მიიხედ-მოიხედოს, საათი დანიშნოს და გამოთვალოს: რამდენ საათს მუშაობენ დღეში და რამდენ საათსა სძინავთ ღამეში... რა თქმა უნდა, მერე და მერე შეღავათი ეძლევათ, თუმცა ეს ისეთი შეღავათი არ არის, მხართეძოზე წამოწვნენ და გვერდები დაიბეჟონ ნებივრობით...

ნინო დრეიძე მევენახეობის მესამე ბრიგადის ბრიგადირია. მის ბრიგადას 60 ჰექტარი ვენახი აქვს. სტატისტიკა რომ მოვიშველიოთ და დავიანგარიშოთ, სამოცი ჰექტარი ვენახის მოვლას რამდენი კაცდღე სჭირდება, ცოტა არ იყოს, შორს წაგვიყვანს. ისევ ის აჯობებს, გლეხკაცის საქმიანობით დავიწყოთ: რთველის შემდეგ ვენახი უეჭველად უნდა მოიხნას — ნაზურგი შეეკრას, ძირები გამოთოხნოს და მერე ისევ მოიხნას ანუ ზედ უნდა მიეყაროს, ფოთოლი ჩამოცვივა და დაიწყება გასხვლა, გადაწვენა-ჩამუხლვა, სარის შედგმა-ჩანაცვლება, ათასნაირი შხამქიმიკატების შეტანა და გაზაფხულიც მოდის. გაზაფხულზე საგაზაფხულო შხამქიმიკატების შეტანა, ისევ ორჯერ მოხვნა და გათოხნა, გასხვლა-გადაკავება... მერე წამოიწევს ყლორტი და ის მომქანცველი სამუშაო იწყება, აგრონომები „მწვანე ოპერაციებს“ რომ ეტყვიან... ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ერთს კი ვიტყვით — ეს დალოცვილი ვაზი ისეთი სიკეთეა, ყოველდღე რომ თავზე ადგე, საქმეს არ გამოგილევს. ჩვენი გლეხის ნათქვამია: თითოეულ ვაზთან წელიწადში ასჯერ მაინც მივდივარო. ასეა: წელიწადში ასჯერ მიდის ვაზთან და ასჯერვე სიყვარულს მიჰყავს, ნამდვილ სიყვარულს...

ნინოს ერთი გოგო ჰყავდა და ისიც გაათხოვა. ქმარი შოფერია და მუშაობს. დილიდან საღამომდე თითქმის გამოკეტილია მათი სახლის კარი.

დღე და ღამე ზვარშია ნინო. უნდობლობა რა შუაშია, მაგრამ მოხნულიც უნდა შემოწმდეს, გათოხნილიც, გადაკავებულიც, გაფურჩნულიც, ცაგახსნილიც, შეწამლულიც... აგრონომია, გამოცდილებაც დიდი აქვს და, მე შენ გეტყვი, გამოაპარებ რამეს!

მისი ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავეა კოლმეურნეობაში. საერთოდ ვაზისუბნელები მთელს რაიონში გამოირჩევიან შრომისმოყვარეობით. ამიტომაც არის, სხვები რომ იწყებენ საქმეს, მათ თითქმის მოთავებული აქვთ უკვე. სოფელსაც ეტყობა ეს კეთილდღეობა — ის, რაც უნდა ჰქონდეს, ყველაფერი აქვს, თანაც ხარისხიანი, საუკეთესო.

მუხლჩაუხრელად შრომობს ხალხი და თავის საკარმიდამო ნაკვეთსაც ერევა, საზოგადოებრივსაც. ლხინია და ისიც მათი მოგონილია. გონივრულად განაწილებულ დროში ყველაფერი თავისუფლად ეტევა — ასეთი სიმჭიდროვე არასოდეს არ არის საზიანო!

1975 წელს სხვა სოფლებთან შედარებით ვაზისუბანი ყველაზე საგრძნობლად დააზიანა სეტყვამ. მიუხედავად ამისა, ნინო დრეიძის ბრიგადამ მაინც შეასრულა ყურძნის მოსავლის გეგმა. რომ არ დასეტყვილიყო, მართლაც ზღაპრული რთველი ექნებოდათ.

ვაზისუბანს 1976 წელსაც გადაჰკრა სეტყვამ. ნინოს ბრიგადაც დაზარალდა და მაინც 83,7 ცენტნერის ნაცვლად 91 ცენტნერი ყურძენი მოიწია ჰექტარზე.

წლეულს საუკეთესო პირი უჩანდა ვაზისუბნის ზვრებს. მაგრამ მოწყალება მაინც არ გაიღო ცამ, სეტყვის ჯავრი და ვარამი არ ასცდა გლეხს. მოსამკელი მოიმკეს და უძილო ღამეებით თუ გარჯით გადაქანცულმა ჯანმაც ერთბაშად მოისვენა. სიმძიმილის წამალი სიხარულია მხოლოდ. გლეხის ნაღდი სიხარული კი ბარაქიანმა წლის მოსავალმა იცის.

ნინო დრეიძე დილაუთენია ჩამოუვლის თავის უბანს — ბრიგადის წევრებს უნდა გააგებინოს, დღეს რა საქმე აქვთ გასაკეთებელი. გლეხობას გაღვიძება არ სჭირდება, ისინი რიჟრაჟზე წამოდგებიან ხოლმე. ვიდრე სამუშაოდ წავლენ საქონელს უნდა მიხედონ, ფრინველს... შვილებსა თუ შვილიშვილებს ამბავი დაუტოვონ, გული დაიგულონ ბუდეში — დარდიანი კაცი უხალისოდ, უგერგილოდ ეკიდება საქმეს.

მიდის ბრიგადირი და მიახმაურებს ორღობეს. სოფელი პატივსა სცემს, მარტო იმიტომ კი არა, ქალიაო — უქალო სოფელი სადა ოქმულა! — უფრო იმიტომ უხდიან ქუდს, რომ თავისი საქმე იცის და უყვარს; და კიდევ ასეთი ხელები რომ აქვს — გამრჯე, პატიოსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოქტომბრით შობილნი

# წმიდათაწმიდა მემკვიდრეობა

„სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ საქართველოში განაპირობა არა მხოლოდ ახალი ეკონომიკური სისტემისა და ახალი პოლიტიკური წყობილების დამკვიდრება, არამედ ახალი ტიპის კულტურის შექმნაც: სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების განვითარების თვისებრივად ახალი დონე, ახალი ადამიანის აღზრდა“.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“

**ეს ნარკვევი მათ ეძღვნება, ვინც თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად სწორედ ახალი ადამიანის აღზრდა დაისახა. მათ, ვისაც მოკლედ და ხატოვნად მრავლისმთქმელი სახელი ჰქვია—მასწავლებელი. ნარკვევში ოთხი ინტერვიუ შევა, ერთი მათგანი დაუსწრებლად იქნა აღებული, ამიტომაც დაერქვა მას „ის, რაც დავიწყებას არ მიეცემა“ ანუ**



## „ინტერვიუ ისტორიულ დოკუმენტებთან“

სახელი? — მარიამი

მამის სახელი? — პლატონის ასული.

გვარი? — მიქელაძე, შემდგომ ორახელაშვილად ცნობილი.

დაბადების წელი — 1887.

გარეგნული ნიშნები? — მაღალი, ტანადი, მომხიბლავი.

პროფესია? — რევოლუციონერი.

ცხოვრების აზრი? — რევოლუცია.

საქმიანობა? — ახალი საბჭოთა სკოლის შშენებლობა.

**ესეც რევოლუციაა, მძაფრი, ხანგრძლივი, მოულოდნელობებითა და ძიებებით სავსე. ისიც იბრძვის, რადგან დევიზი ერთი აქვს — გაკაფოს ყამირი ადამიანის სულისა და შიგ ისეთი თესლი ახაროს, რომ ის ნაყოფი თავის მხრივ ახალი ქვეყნის სულიერ საზრდოდ იქცეს. ამ ახალ ქვეყანას საბჭოთა ქვეყანა ეწოდება და ქალს, რომელმაც ითავა ჩირაღდანივით გაკაფოს გზა განათლებისკენ — კომუნისტი.**

კომუნისტი — მარიამ ორახელაშვილი.

რაც უფრო მაღალია თანამდებობა, მით უფრო დიდია პასუხისმგებლობა.

გზა სიმაღლისკენ საქმეზე გადის, საქმეზე, რომელსაც პირველ რიგში საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ჩამოყალიბება ეწოდება.

სტატისტიკა ძუნწია, მაგრამ მეტყველი:

საბჭოთა საწარმო-ტექნიკური ინტელიგენციის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მუშაკებმა, რომლებიც მუშების, გლეხების და მოჯამაგირეთა ფენებიდან „მუშათა კულტურულ ძალებს“ ამზადებდნენ. მუშფაკებში მოწვეულ პირველ ლექტორთა შორის მარიამ ორახელაშვილიცაა.

1926 წელს საქართველოში ოთხი მუშფაკია.

1927 წელი. მ. კახიანის სახელობის ქართული მუშფაკი უშვებს 113 კურსდამთავრებულს, აქედან 86 მუშას, 17 მოჯამაგირეს, 10 მოსამსახურეს. კურსდამთავრებულთა შორის 9 ქალია. საყოველთაო წიგნიერებისათვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა წერა-კითხვის სალიკვიდაციო საზოგადოება „წერკუმსმა“, 1921-1930 წლებში საქართველოში წერა-კითხვა შეისწავლა დაახლოებით ნახევარმა მილიონმა კაცმა, რამდენიმე ათეულმა აჭარელმა ქალმა და მამაკაცმა დაამთავრა მცირემცოდნეთა სკოლა. 1932 წლის 30 აპრილს თბილისი გამოცხადდა წერა-კითხვის საყოველთაო მცოდნეთა ქალაქად. მომდევნო წლებში რესპუბლიკაში წერა-კითხვის უცოდინარობა მთლიანად მოისპო. წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო საზოგადოებრივი კომიტეტის წევრი — მარიამ ორახელაშვილია.

თანამებრძოლთა სახელებია: ს. წულუკიძე, ს. კიროვი, მ. ბონჩბრუევიჩი, მ. ცხაკაია და მრავალი სხვა, ვინც მხრებით ზიდა ოქტომბრის მონაპოვარი და ცეცხლსა და ქარბუქში გამოატარა იგი.

პეტროგრადი, ვლადიკავკავი, ბაქო, ქუთაისი, ბათუმი, თურქესტანი, სპარსეთი, აი, არც თუ ისე სრული სია ბრძოლებით განვლილი გზებისა.

**მიზანი ნათელი — შენება ახლის!**
**გზა მიზნისკენ ძნელი.**
**ბრძოლა შეუპოვარი.**
**გამარჯვება მით უფრო საამო!**

**მარიამ ორახელაშვილი — განათლების პირველი სახალხო კომისარი ქალი!**

## ინტერვიუ მეორე ანუ „რას ვიღებთ მემკვიდრეობად“

**ნ. ვასაძე** — უთუოდ ყველაფერს ღირსეულსა და მნიშვნელოვანს, გნებავთ თეორიისა და პრაქტიკის ორახელაშვილისეულ შერწყმასა და შეგუებას. მარიამი ხომ უაღრესად განათლებული, დიდი ერუდიციის მქონე, რამდენიმე ენის მცოდნე ქალი იყო და თავის ცოდნას დაუღალავად ახმარდა სხვათა განათლების საქმეს, რადგან ახალი ქვეყნის შენება მხოლოდ და მხოლოდ განსწავლულ ადამიანთა საქმედ მიაჩნდა. რამდენადაც ვიცით, ეს დევიზი დღეს ბევრად უფრო გამოკვეთილად გვესახება და, რა თქმა უნდა, ამგვარ მემკვიდრეობაზე არავინ იტყვის უარს.

**პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორთან — პირველ რექტორ ქალთან საქართველოში ნათელა ვასაძესთან მარიამ ორახელაშვილმა შეგვახვედრა.**

**ძიებისას აღმოჩნდა რომ ნათელა ვასაძე ერთ-ერთი ავტორია მ. ორახელაშვილისადმი მიძღვნილი მონოგრაფიისა, რომლის დაწერის სურვილი ერთმა პატარა ფრაზამ დაბადა.**

**ნ. ვასაძე** — მართლაც, მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი ფაქტი დაიტია ამ წინადადებამ: „პირველ პედაგოგიურ ინსტიტუტს საქართველოში მარიამ ორახელაშვილის სახელი ეწოდა“. მოვკარი თუ არა თვალი ამ სტრიქონებს, მოსვენება დავკარგე. მართლაც, სქელტანიანი მონოგრაფია თუ აღნუსხავს იმ წვლილს, რაც მარიამ ორახელაშვილმა საქართველოს განათლების განვითარების საქმეში შეიტანა და საერთოდ, მე ვიტყოდი, რომ მისი ღვაწლი ახალი პედაგოგიური სისტემის ჩამოყალიბებაში, პედაგოგიკის როლის გამოკვეთაში ახალი ადამიანის აღზრდის თვალსაზრისით, განუზომელია.

— მაინც რას მიიღებდით მემკვიდრეობად, — ვეკითხებით რექტორს.

**ნ. ვასაძე** — პროფტექნიკური განათლების მარიამისეულ განსაზღვრას, მან სწორად დაინახა პროფტექნიკური განათლების მთელი შესაძლებლობანი, რასაც ჩვენ უფრო ვაღრმავებთ და ვხვეწავთ.

მისმა სწრაფვამ ინტერნაციონალური აღზრდისაკენ ხორცი შეისხა და საქართველო იმ გამოჩენილ რესპუბლიკათა შორისაა, სადაც სწავლება ექვს ენაზე მიმდინარეობს, რაც საშუალებას აძლევს რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ, აფხაზურ

სკოლებს საქართველოშივე აღზრდილი კადრებით დააკომპლექტონ თავიანთი კოლექტივები.

მე მოხარული ვარ, რომ ვხელმძღვანელობ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომელიც სოფელს ისეთ კადრებს უმზადებს, რომელთა შესახებაც ოცნებობდა მარიამ ორახელაშვილი.

**რექტორის მაგიდაზე სქელტანიანი საქაღალდე დევს, მასში არა მარტო ოცნებაა, არამედ ის პრაქტიკული ნაბიჯებია აღნუსხული, რომელიც მარიამ ორახელაშვილმა თავისი ნაოცნებარის განსახორციელებლად გადადგა. აქაა სტატიების მთელი წყება, წერილები, სადისკუსიო გამოსვლები, პოლემიკა, ცირკულარები, რომლებიც მისი შეუპოვრობით აღსავსე ბიოგრაფიის ფურცლებია მაშინ, როცა იგი განათლების საქმეს ხელმძღვანელობდა საქართველოში, მაშინ, როცა იგი რსფსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე იყო და ამ პოსტზე ფაქტიურად უმაღლეს განათლებას უძღვებოდა კავშირში.**

**ახლა ჩემს წინ პირველი რექტორი ქალი ზის და პირველ სახალხო კომისარზე მიამბობს აღტაცებით.**

**ნ. ვასაძე** — პედაგოგებად უთუოდ იბადებიან. მე მჯერა, რომ მარიამ ორახელაშვილი უდიდესი მასშტაბის პედაგოგი იყო, მისი შემოქმედებითი გაქანების ძალა, საკლასო ოთახით ვერ იფარგლებოდა და საერთო სახალხო საქმედ იქცეოდა. თქვენ ბრძანეთ, რა მივიღეთ მემკვიდრეობად?

**მე ვასწრებ რექტორს: უთუოდ ახლის ძიების სურვილი, რომლის გამოძახილია თავისებური მეცადინეობა თანამედროვე მასწავლებლის სახის შესაქმნელად. ამ მხრივ ჭეშმარიტად ბევრი გაკეთდა — პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნათელა ვასაძე. მე ვგულისხმობ ორპროფილიან სწავლებას, საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის შექმნას!**

**ნ. ვასაძე** — სამპროფილიანი პედაგოგი, ალბათ, ეს ის იდეალია, რომლისთვისაც ასე ილვწოდა მარიამ ორახელაშვილი. მე მიმაჩნია, რომ თვადაც ამგვარ იდეალს ქმნიდა: იგი არა მარტო პედაგოგი იყო, არამედ საზოგადო მოღვაწეც, რომელსაც ერთნაირად აღელვებდა, როგორც სწავლა-აღზრდის საქმე, ასევე სხვა სოციალური ძვრებიც...

**რექტორი ფოტოს მაწვდის. ამ ფოტოზე მარიამი სრულებით არ ჰგავს იმ ნატიფ და სუსტ არსებას, რომელიც ადრეული სურათებიდან მიყურებს. იგი შემართული, მღელვარედ დგას ტრიბუნაზე და, როგორც ჩანს, ჩადრმოხდილი აჭარელი ქალის პირველ, გაბედულ ნაბიჯს აფასებს. სულგანაბული აუდიტორია ყურადღებით ისმენს მის სიტყვას, რომელიც თავისებურ, მაგიურ ზეგავლენას ახდენდა ხოლმე მსმენელზე. ეს მიტინგიც არ შეადგენს გამონაკლისს. ვინ იცის, რიგით მერამდენეა!**

**ნ. ვასაძე** — როდესაც მემკვიდრეობად ძიების წყურვილს იღებ, თავადაც განუზომელი პასუხისმგებლობის გრძნობით იმსჭვალები. მე მიმაჩნია, რომ ჩვენმა ინსტიტუტმა სწორი ნაბიჯი გადადგა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან კავშირის განმტკიცების თვალსაზრისით. სწორად გვესახება პროფესიული დაინტერესების გამოკვეთის საკითხიც. საკმაოდ დიდი დრო გვაშორებს პირველი პერიოდიდან, მაგრამ ურბანიზაციის საკითხი, ჩანს, რომ მაშინაც მწვავედ იდგა და სოფელთან ახალგაზრდობის მიჯაჭვის გზები თუ ვერ იძებნებოდა, ახლა ამ მხრივ უფრო რეალურ ცდებთან გვაქვს საქმე.

მე მომწონს განათლების სამინისტროს ინიციატივა, რომ სოფლად ერთი მოსწავლის დარჩენის შემთხვევაშიც კი, არ აქრობს იქ ცოდნის ლამპარს და სკოლას ტოვებს, თუმცა ეს თავის მხრივ სწავლების თავისებურ პრობლემას წამოჭრის.

პირველი რიგის გადასაჭრელ პრობლემათაგანია — სკოლამდელი დაწესებულებების კადრების მომზადების საკითხიც. ერთი სიტყვით, დრომ თავისი ამოცანები დაგვისახა, რადგანაც ჩვენი დღევანდელი საბჭოთა სკოლა — ეს არის განვითარებული სოციალიზმის ეპოქის სკოლა, ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის სკოლა და ჩვენი ვალია მიღებული მემკვიდრეობა არა მარტო შევინარჩუნოთ, არამედ დროის შესაბამისად განვავითაროთ კიდეც.

**უთუოდ ესეც მემკვიდრეობის განვითარებაა, რომ პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომელიც ერთხანს მარიამ ორახელაშვილის სახელს ატარებდა, ხელმძღვანელობს ორგზის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, მშვიდობის დაცვის საიუბილეო და მშვიდობის ფონდის მედლების კავალერი, საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საკავშირო ქალთა კომიტეტის წევრი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი — ნათელა ვასაძე.**

**ნ. ვასაძე** — იცით, მე რომ მკითხოთ, საქართველოს ჰყავდა თუ არა ისეთი მასშტაბის მოღვაწე ქალი, როგორიც მარიამ ორახელაშვილია, ალბათ გამიჭირდებოდა პასუხის გაცემა, ამის შესახებ უფრო ვრცლად ვილაპარაკებთ მისი დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე, რომელიც დეკემბერში გაიმართება. მე საიუბილეო კომისიის წევრი გახლავართ. ახლა კი სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით, მარიამ ორახელაშვილის სახელი მიენიჭა ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლას, სადაც იგი სწავლობდა, სახლს თბილისში, მახარაძის ქუჩაზე, სადაც ის ცხოვრობდა გაუკეთდა მემორიალური დაფა. ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მისი სახელი. ჩვენთან პედაგოგიურ ინსტიტუტში წარჩინებული სწავლებისათვის დაწესდა მისი სახელობის სტიპენდია.

ინსტიტუტში მოეწყობა მისი სახელობის



მუზეუმი. გამოიცემა მონოგრაფია, მისი შრომების ერთტომეული, გამოჩენილ მოღვაწეთა მოგონებანი მის შესახებ.

**მ. ბურჭულაძე** — ეგ ყველაფერი დიდებული საქმე იქნება. ამით არა მარტო მარიამ ორახელაშვილის ღვაწლი დაფასდება, არამედ ის გზაც შეჯამდება, რომელიც ჩვენმა სახალხო განათლებამ განვლო ამ 60 წლის მანძილზე.

## ინტერვიუ მესამე ანუ „სათნოების გაკვეთილი“

**მ. ბურჭულაძე** — ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ მარიამ ორახელაშვილი ჩემი იდეალი იყო. ვიცნობდი მის ოჯახს, განსაკუთრებით კარგად დას—რევოლუციონერ ქალს ნატალია ქიქოძეს. იგი ჩემს ნათლიად ითვლებოდა და ამიტომ მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს ოჯახთან.

მარიამი ბავშვობის შემდეგ არ მენახა და აი როცა იგი სახალხო განათლებას წარმართავდა ჩვენს რესპუბლიკაში, საქმემ ერთხელ ერთად შეგვყარა. მახსოვს დიდუბეში, მაშინდელ გერმანულ სკოლაში ვასწავლიდი ქართულს, მარიამი გაკვეთილზე დაგვესწრო, მოგვიწონა და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა უცხოელებისათვის ქართული ენის სწავლებას. ეს დიდი ეროვნული საქმეა და თქვენ იცით, როგორ გაუძლვებითო.

**მარიამ ბურჭულაძე ჭეშმარიტად დიდებულად გაუძღვა საქმეს და თუ სიტყვა მემკვიდრეობაზე ჩამოვარდება, იგი ქართველი მოწინავე ინტელიგენციის იმ საუკეთესო, თვისებათა მემკვიდრედ უნდა ჩაითვალოს, რომელმაც განათლებასთან ერთად ადამიანური სათნოების საუკეთესო გაკვეთილებიც გვაჩვენა.**

**სამოცი ძნელი და მოვლენებით აღსავსე წელი განვლო საბჭოთა ქვეყანამ. ეს იყო ბრძოლისა და შენების წლები. აქედან განსაკუთრებით ძნელი ომის ოთხი გრძელი წელიწადი იყო.**

**ეს ოთხი წელი, ყველაზე მძიმე აღმოჩნდა სახალხო განათლების საჭესთან გატარებული იმ 23 წელიწადს შორის, რომლებმაც მარიამს სამაგალითო პედაგოგის, განათლების მინისტრის საიმედო მოადგილის, სათნო, კეთილსინდისიერებით აღსავსე მოღვაწის სახელი მოუხვეჭა. ყველაფერი კი, უბრალოდ დრამატიზმის გარეშე დაიწყო; განათლებულ ოჯახში ნიჭიერი ქალი დაი-**

**ბადა. ნიჭმა თავისი გზა ჰპოვა, ხოლო მონდომებამ და საქმის სიყვარულმა კი თავისი** სახელი.

მ. ბურჭულაძე — პედაგოგობა, ოჯახური ტრადიციის გაგრძელება იყო. ის, რისი თქმაც ახლა მასწავლებელზე შემიძლია. მაშინ, რა თქმა უნდა, არ შემეძლო, მაგრამ გუმანით ვგრძნობდი — მასწავლებელს უნდა შეეძლოს ცოდნის გაზიარება, გაზიარებული ცოდნის ძალა კი მის ზემოქმედებით უნარშია. რაც უფრო სრულყოფილია ერთი, მით უფრო ძლიერი იქნება მეორე. მასწავლებელი მაგალითი უნდა იყოს მოსწავლისათვის—როგორც თავისი ადამიანური თვისებებით, ასევე გარეგნულადაც. მასწავლებელი მოსწავლეში მეორდება და გრძელდება. მე არ მიკვირს, რომ როცა ერთერთ საბჭოთა კავშირის გმირს აცნობეს, შენს ძეგლს გიგებენო, მან შენიშნა — ეს ძეგლი მე კი არა, ჩემს მასწავლებელს ეკუთვნის, მან პირველმა მასწავლა ქვეყნისა და ხალხის სიყვარულიო.

სტრიქონები მისალოცი ბარათიდან:

**„ქალბატონო მარიამ! ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენი ცხოვრების ღირსსახსოვარი თარიღი — საიუბილეო 75 წელი! თითქმის ექვსი ათეული წლის მანძილზე, — 55 წლის მანძილზე თქვენ მხურვალე გულით, აღმართ-აღმართ ეზიდებოდით სახალხო მასწავლებლისა და ერის განმანათლებლის მძიმე ტვირთს.**

**ყველაზე დიდი ჯილდო თქვენთვის, თქვენი დიდი ღვაწლის აღიარებაა. თქვენს მრავალრიცხოვან პატივისმცემლებთან ერთად დაბლა ვხრი თავს თქვენი წმიდათაწმიდა ადამიანობის წინაშე და კრძალვით ვეამბორები დიდი ჯაფით ჯერ კიდევ დაუღლელ ხელებს.**

**დაილოცოს თქვენი ვერცხლის თმა და ოქროს გული.**

**უღრმესი პატივისცემით გენადი სადუნაშვილი".**

**ეს წერილი ერთ-ერთია იმ მრავალრიცხოვანი ფოსტიდან, რომელიც მარიამ ბურჭულაძის სახელზე მოდის.**

**ესეც მემკვიდრეობაა — პედაგოგის, განათლების მინისტრის მოადგილედ დანიშვნა. მემკვიდრეობა ნაცადი და საქმით დამოწმებული.**

**პედაგოგთა მრავალათასიან არმიაში შენი სიტყვა გამორჩევით რომ თქვა, მართლაც, განსაკუთრებული ნიჭი და უნარი უნდა შეგწევდეს.**

**მარიამ ბურჭულაძემ ეს სიტყვა საქმითა და სათნოებით თქვა.**

**ერთხელ პოლიტიკური მიმომხილველი სპარტაკ ბეგლოვი ინტერვიუს იღებდა ფრანგი ჟურნალისტისაგან, რომელიც აღელვებული აღნიშნავდა, რომ ვიეტნამელმა ხალხმა თავისი რწმენა გამარჯვებისადმი ამერიკელების წინააღმდეგ ომში იმითაც გამოხატეს, რომ მიწურებში გახიზნული სკოლები მხოლოდ ლამაზი და გონიერი პედაგოგებით დააკომპლექტეს იმ მიზნით, რომ ბავშვებს მშვენიერების არსებობაში ეჭვი არ შეჰპარვოდათ და ამით ბრძოლის წყურვილი არ განელებოდათ.**

**კდემითა და სათნოებით აღსავსე ქალი ჩაუდგა სახალხო განათლების საქმეს საქართველოში და ამ ქალის სუსტმა მხრებმა გადაიტანა სამამულო ომის ცრემლიცა და სიძნელეებიც.**

რამდენი თეთრად გათენებული ღამე ახსოვს მარიამ ბურჭულაძეს, აფორიაქებული რკინიგზის სადგური, ევაკუირებული ბავშვებით სავსე ეშელონები, დედის ნატვრა და სანუგეშოდ თქმული სიტყვები. რა ძალა ჰქონდა მაშინ მის სიტყვას, მის კდემას, მის დამაჯერებელ კილოს, მის ალერსს და მზრუნველობას.

„ქალბატონო მარიამ!

შევიტყვე თქვენი იუბილეს შესახებ და ვიჩქარი სიტყვა მოგაწვდინოთ ჩემი დიდი მადლიერების გამოსახატავად; თუმცა რომელი სიტყვა შეძლებს გამოხატოს ის დიდი პატივისცემა, რომლითაც ჩემი გულია გამსჭვალული : თქვენს მიმართ. მეც თქვენს გზას გავყევი. ორ ათეულ წელზე მეტია პედაგოგი ვარ და ჩემი საქმიანობის ყველაზე მძიმე წუთებში, უნებლიედ რჩევით მოგმართავთ ხოლმე თქვენ, ძვირფასო ადამიანო! თქვენ, ვინც შეძლით ასობით ჩემისთანასთვის შეგეცვალათ დედა და კეთილი ღიმილით გულის იარა მოგეშუშებინათ. იდღეგრძელეთ და იხარეთ თქვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ვასილ სამოცვეტოვი,<br>იაროსლავი".

**მ. ბურჭულაძე** — გახსოვთ ილიას სიტყვები?

„დედავ, ისმინე ქართვლის ვედრება —<br>ისე აღზარდე, შენ შვილი შენი,<br>რომ წინ უძღოდეს ჭეშმარიტება,<br>უკან შთეს კვალი განათებული".

ჩვენ ვალდებულნი ვართ ყველა იმ სიკეთის მემკვიდრენი ვიყოთ, რომელიც ადამიანში ყველაფერს ადამიანურს განადიდებს

მართლაც, მძიმე წლები მერგო, ყველაზე ეფექტურად მივიჩნიე რაიონის სკოლების მუშაობის შესწავლა და ადგილზევე დახმარების გაწევის მიზნით სპეციალისტთა ბრიგადების მივლინება. მაღალმთიან რაიონებში წვიმაში, თოვლში, ქარბუქში, ამინდსა თუ უამინდობაში მე თვითონ მივუძღვებოდი ბრიგადებს: ასპინძაში, ადიგენში, ახალციხეში, ახალქალაქში, ხულოში, ქედაში. ამგვარი დახმარება მეტად ქმედითი აღმოჩნდებოდა ხოლმე. ახლა რომ ვიწყებდე მოღვაწეობას, უთუოდ ბევრ რამეს დაგროვილი გამოცდილებიდან გავიმეორებდი. მათ შორის აი ამგვარ ინსპექციებსაც.

ბევრი რამ გავაკეთეთ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა გაუმჯობესებისათვის, რადგან სასკოლო შენობა, თავისი საკლასო ოთახებით, დერეფნებით, კაბინეტ-ლაბორატორიებით, შრომითი და ფიზკულტურის დარბაზებით, სკოლის მთელი გარემო — თვით კედლები, იატაკი, მერხები, დაფები, საკლასო კარადები დიდ აღმზრდელობით 'გავლენას ახდენს ბავშვებზე.

განა ვინმეს შეიძლება შეეპაროს ეჭვი იმაში, რომ მაღალკვალიფიციური, მაღალიდეური, პირადი მაგალითის მიმცემი, მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების მქონე პედაგოგთა კოლექტივი განაპირობებს გონებრივ-იდეურ და ზნეობრივ აღზრდას, მოსწავლეთა მომზადებას ხალხისა და ქვეყნის სასარგებლო მოქალაქეებად? ამ გზით მოვდიოდით ჩვენც.

**სტრიქონები კიდევ ერთი ბარათიდან:**

„დიდად პატივცემულო, ქალბატონო მარიამ.

გულითადად გილოცავთ ქართული პედაგოგიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელს დაბადების 75 და მოღვაწეობის 55 წლისთავს.

ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ფართოდ ცნობილი თქვენი თავდადებული, უანგარო საქმიანობა მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდა ქართველი პედაგოგებისათვის. გულწრფელი პატივისცემით.

**ევგენი ხარაძე".**

**მ. კობახიძე** — მიძნელდება ჩემს მეხსიერებაში აღვადგინო ის პერიოდი, როდესაც მარიამ ბურჭულაძეს არ ვიცნობდი. საქმე იმაშია, რომ ჩემს ცნობიერებაში არსებული პედაგოგის, დედის სახე ცოცხლად ემთხვევა მარიამ ბურჭულაძის პიროვნებას. მე იგი უპირველეს ყოვლისა სათნოებით დამამახსოვრდა.

პირველად მე-7 თუ მე-8 კლასის მოსწავლე ვიყავი, რომ ვნახე იგი. ვუსმენდი და მსურდა ახლოს მივსულიყავი. ხელით შევხებოდი მას, მეგონა თუ რაიმე როდისმე გამიჭირდებოდა, მის მეტი ვერვინ გამიგებდა. მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ახლაც საქმიანი კონტაქტი მაქვს მარიამ ბურჭულაძესთან — პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, სადაც იგი მოზრდილთა განათლების სექტორს განაგებს.



## ინტერვიუ მეორე ანუ „კეთილმა თესლმა იხარა"

**ცოტა რამ ბიოგრაფიიდან:**

**მანანა კობახიძე, თბილისის კ. უშინსკის სახელობის № 1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საშუალო სკოლა 1961 წელს დაამთავრა. შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1972 წელს წინა — საახალწლო შემაჯამებელ შეკრებაზე წლის საუკეთესო პედაგოგად იქნა მიჩნეული.**

**ხალხის ნდობის შედეგი იყო, რომ იგი ჯერ რაიონული საბჭოს დეპუტატად, შემდეგ კი საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.**

**მ. კობახიძე** — 1968 წელი მაინც უმნიშვნელოვანესია ჩემს ცხოვრებაში, რადგან სწორედ ამ წელს დავიწყე პედაგოგობა და მახსოვს რაოდენ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე სკოლის შემოქმედებითმა კოლექტივმა, მისმა ხელმძღვანელმა პატივცემულმა ლევან ჩიქვანაიამ. რაოდენ ჰარმონიულად იყო შერწყმული ამ კოლექტივში უფროსი თაობისადმი მოკრძალება და ახალგაზრდული სწრაფვისადმი ნდობა და დახმარება. ჩემს ასაკში ნაადრევია ახლისა და ძველის განსხვავებაზე ლაპარაკი, მაგრამ თუ ახალი თაობის წინაშე მდგარ ამოცანებს განვსაზღვრავთ და შევადარებთ მის არც თუ ისე შორეულ წარსულს, მართლაც, შეიძლება ერთგვარი განსხვავებაც მოიძებნოს და ბევრი რამ საერთოც. სწავლა-აღზრდის საქმეში თუ ჩვენს წინა თაობებს შექმნაზე უხდებოდათ ფიქრი, ჩვენ, ახალი თაობის წარმომადგენლები მის სრულყოფასა და დახვეწაზე ვზრუნავთ. ამ მხრივ არ შეიძლება დიდი მადლიერების გრძნობა არ გამოვხატოთ საქართველოს განათლების ყოფილი მინისტრის თამარ ლაშქარაშვილის მიმართ, რადგან თამამ ცდებს, თამამ ექსპერიმენტებს, სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა იგი სახალხო განათლებას უძღვებოდა საქართველოში. ახალგაზრდა თაობაც გატაცებით გაჰყვა ახლის ძიების გზას და შედეგმაც არ დააყოვნა.

**ჩვენ გვაქვს შესანიშნავი მემკვიდრეობა — კრუპსკაიას, კალინინის, ლუნაჩარსკის, მაკარენკოს, სუხომლინსკისა და სხვათა ბრწყინვალე პედაგოგიური შეხედულებანი.**

**დიდი და განუზომელია ჩვენი ეროვნული განძიც — რუსთაველის, სოლომონ დოდაშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის, ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის შეხედულებანი, სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე და მით უფრო საჩინოა იდეური მემკვიდრეობის ღრმა შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ძიებათა ახალი გზების დასახვა, მათი პრაქტიკული გამოცდა. ეს ის ტრადიციაა, რომელიც უთუოდ საბჭოთა სკოლის, საბჭოთა სახალხო განათლების კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ.**

**მ. კობახიძე** — როდესაც იდეალური პედაგოგი მინდა წარმოვიდგინო, კვლავ მარიამ ბურჭულაძეს ვუბრუნდები ხოლმე, ან ჩემი სკოლის პედაგოგს თამარ მოსეშვილს.

მაგრამ თუ მაინც ზოგადად გაინტერესებთ ჩემი აზრი, მაშინ იდეალური პედაგოგი ფსიქოლოგიურად ძლიერ პიროვნებად მესახება. მას უნდა შესწევდეს უნარი, როგორც ხელოვანს, იყო შთამბეჭდავი. თამარ მოსეშვილი ისტორიას გვასწავლიდა და ახლა რომ მკითხონ ხელოვნების გაკვეთილი იყო თუ ისტორიის გაკვეთილიო, ერთი წუთითაც არ დავფიქრდები და ვიტყვი ერთიც და მეორეც.

პედაგოგი თავის მოსწავლეში მეორდება. ჩვენ ყველანი უნებლიედ ვიმეორებთ იმ ადამიანთა საუკეთესო თვისებებს, ვინც ჩვენზე განუმეორებელი შთაბეჭდილება დასტოვა.

მანანა კობახიძე ყველაზე ახალგაზრდაა მათ შორის, ვის შესახებაც დღეს ვსაუბრობდით. იგი არ აჯამებს განვლილ გზას, იგი ხვალინდელზე ფიქრობს, ხვალინდელ ცდაზე, რომელიც უფროსი თაობის მიერ დაგროვილი გამოცდილების გადასინჯვისა და განვითარების შედეგი უნდა იყოს. ასეთია ჩვენი ცხოვრების დაუწერელი კანონი, სინდისის კანონი, თუ შეიძლება ასე ითქვას.

რატომ აირჩიეთ ძიების გზა? — ვეკითხები მანანას.

**მ. კობახიძე** — დრომ მოითხოვა! აი ვამბობთ, მარიამ ორახელაშვილი საბჭოთა სკოლის სათავეებთან იდგა. მისი მოღვაწეობაც ხომ ცდებითაა აღსავსე. იგი სწორ გზას არჩევდა საბჭოთა მოსწავლის სახის ჩამოსაყალიბებლად, შემდგომმა თაობებმა სრულყვეს და განავითარეს არა მარტო მის მიერ დაგროვილი გამოცდილება, არამედ საკუთარიც შექმნეს. ჩემმა თაობამ მემკვიდრეობად მიიღო ყველაფერი საუკეთესო, მაგრამ დრო არ იცდის. სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი სრულყოფილ, ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანს მოითხოვს და ჩვენც ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს, მის ნიჭსა და უნარს ვუკაფავთ გზას.

ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში თემაზე „ჩემი იდეალი“, უშინსკის სახელობის № 1 ექსპერიმენტული სკოლის კურსდამთავრებულმა დაწერა — „ჩემი იდეალი? მანანა კობახიძე“.

ჩემს წინ სქელტანიანი საქაღალდე დევს, შიგ ბევრი მოგონებაა ქალზე, რომელსაც ახლა 90 წელი შეუსრულდა. ჩემი იდეალი? — „მარიამ ორახელაშვილი“.—წერენ ამ მოგონებების ავტორები და ცდილობენ ნათქვამის დასაბუთებას. საბუთი ისტორიაა!

მანანა კობახიძე ამ ისტორიის გამგრძელებელია და იმავე ასაკიდან იწყებს, რა ასაკიდანაც მარიამ ორახელაშვლი შეუდგა თავის აღმართს. ეს აღმართი მძიმეა, მაგრამ სასახელო. მის იქით ქვეყნის მომავალია და იგი სიკეთის თესლმა უნდა ახაროს.

სახელი ამ მთესველისა — მასწავლებელი. და მრავალგზის კიდევ — ქალი!

**მარიკა ბაქრაძე**

# მეათე ხუთწლედის ადამიანები

# შირაქელი დამკრელი

ნარკვევი

აყვავდა შირაქი. ბექობები და ხალვათი ველობები ხშირმა ბალახმა დაფარა. ჰაერში ძიძოს და ქინძარას მოტკბო სუნი ტრიალებს. შუადღისას, მზე შაქზე რომ აიწევს და ჩამოცხება, კლდიანი წარაფიდან ძერძერუკის ჟინიანი ყიჰყიპი მოისმის. მტაცებლის ავხმიანობა სიმშვიდეს უკარგავს უზნევარ ქედნებს, რომლებიც კრიახით იშლებიან ბუწკნარიდან და ქვიშიანწყალზე გაჭიმული ფერმის გაღმა, უროიანში იმალებიან.

მხოლოდ წივწივა, თავისი სიჩერჩეტის წყალობით, აინუნშიაც არ აგდებს მოშიებული შაბარდუხისა თუ ძერძერუკის ქადილს და არ ღალატობს თავის უცვლელ ჩვეულებას: ნიადაგ ნახირის სიახლოვეს დაფრინავს და ხან ისე თავხედდება, რომ ლალიანი ბალახის გლეჯით გართულ ფურს ზურგზე ან რქაზე წამოასკუპდება ხოლმე.

სწორედ ამ ადგილებში, შირაქისა და ივრისპირეთის სამანზე ბინადრობს წითელწყაროს რაიონში ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადა — გამარჯვების კოლმეურნეობის მეძროხეობის № 4 ბრიგადა.

მკითხველო, თუ ამ ადგილებში ნადირობისას ანდა სამშობლოს კუთხე-კუნჭულების გასაცნობად ხეტიალში ქანცგაცლილი შემთხვევით ხსენებულ ბრიგადაში შეივლი, რათა ღამე გაათიო, წყალი დალიო, თამბაქო ითხოვო ან გზა იკითხო, არ შეიძლება კომკავშირელმა ბრიგადირმა ვაჟა ჯავახიშვილმა არ წარმოგიდგინოს ორმოცდახუთიოდე წლის ქალი, რომელიც წმინდად გარანდულ მაგიდაზე მოწიწებით მოგართმევთ გალეულ მთვარესავით მოხდენილ თონის პურს, ფერმისავე ბაღჩაში სახელდახელოდ მოკრეფილ მწვანილეულს და ხის კოჭობში ჩადებულ ტალივით მაწონს.

— მზია წიკლაურია, დამკვრელი მწველავი. — განგიმარტავს ბრიგადირი, — ბრიგადის სული და გულია!

თუ საერთოდ არ იცნობ მესაქონლეობას და მწველავის ხელობას, თავაზიანობისათვის თავს დაუქნევ ბრიგადირს, გულში კი გაგეცინება: ეს კაფანდარა, გამხდარი, მორიდებული დედაკაცი თუ ბრიგადის სული და გულია, მაშინ ცერად წასულა ამ ბრიგადის საქმეო.



მაგრამ ეს ერთი შეხედვით! სინამდვილეში კი...

მეცხრე ხუთწლედი იწურებოდა. შირაქელი მშრომელებიც ახალი ხუთწლედის და საკავშირო ყრილობის მოლოდინით ცხოვრობდნენ. იცოდნენ, ამას იქით შრომას უფრო მეტი ყადრი და სახელი დაედებოდა და არავინ ზოგავდა შნოსა და მარიფათს — თამამად კისრულობდნენ გადიდებულ ვალდებულებებს!

არც გამარჯვებელი მწველავები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი: საერთო კრების ტრიბუნაზე ჯერ-ჯერით ადიოდნენ და მოკლედ აცხადებდნენ, თუ რით უპატაკებდნენ ახალი ხუთწლედის პირველ წელს. ყველა მწველავი გაბედულ ციფრს ასახელებდა, მაგრამ მზია წიკლაურმა ყველა გააოცა: ვალდებულება იკისრა 1976 წელს გეგმური 45 ტონის ნაცვლად 50 ტონა რძეს ჩავაბარებ დედასამშობლოსო.

— თავის გამოჩენა კარგია, მზექალავ, მაგრამ არც დაფიქრება მოგიტანდა ზიანს, — გაეპასუხა თანამოსაქმე თეკლე ბურდიაშვილი, კრებიდან რომ გამოიშალნენ, — წყალი ხომ არ არის — ხუთ ტონა ზეგეგმურ რძეს, როგორ ეხუმრები!

— ნუ გეშინია, თეკლე-ქალო!—იხტიბარი არ გაიტეხა მზიამ.

— თეკლეს რისა უნდა ეშინოდეს, — საუბარში ჩაერია მესამე მწველავი თამარ არაბული და მზიას სიყვარულით წაუქიმუნჯა, — ვინც ხუთი ტონა დაივალდებულა, შიშითაც იმას ეშინოდეს!

— რა გინდათ — უკანვე წავიღო ჩემი სიტყვა? — სიცილით იკითხა მზიამ.

— არა, მაგას ვინ გეუბნება, — შორს დაიჭირეს და-ქალებმა, — ანდაზისა არ იყოს: ბავშვის ენა დედამ იცისო, ახლა შენ იცი და შენმა ფურებმა — ან შეგარცხვენენ ან გასახელებენ!..

დაიწყო ახალი ხუთწლედი, საახალწლოდ ქვიშიანწყალზე იმსიმაღლე თოვლი დადო, კაციცა და საქონელიც მუხლამდე ეფლობოდა. მაგრამ ეს არ აშინებდათ გამარჯვებელ მეცხოველეებს. ბინები კაპიტალური ჰქონდათ, საკვები თავზესაყრელი და ახლა ყველაფერი მათ მოწადინებაზეღა ეკიდა.

მზია მგლის ალიონზე დგებოდა და მთელი დღე ფურ-ხბოს დასტრიალებდა თავს: საკვებს შემზადებულს აჭმევდა, ყინულივით ცივ წყალს ოდნავ წაათბობდა და ისე ასმევდა, ჭარხალს საგულდაგულოდ აქუცმაცებდა, ხმარებისაგან კბილებმოცვეთილი, ლაპლაპა სამურველი წინსაფრის ჯიბით დაჰქონდა მუდამ და თავისზე გაპიროვნებულ საქონელს ისე ასუფთავებდა, საგულდაგულოდ რომ გეძებნათ, ბალანში გახლართულ ბირკისა და ძურწის ნასახს ვერ იპოვიდით.

ბრიგადაში ბევრი უქებდა გარჯასა და მოწადინებას, მაგრამ ისეთებიც იყვნენ, ეჭვი რომ ეპარებოდათ ვალდებულების განაღდებაში: მზია ბევრსა ფახიფუხობს, მაგრამ ცუდუბრალოდ — ეგ ზეგეგმით ხუთი ტონის მომწველი არ არისო.

ხანდახან მზიასაც აგონებდნენ ამგვარ სიტყვებს, მაგრამ მორიდებული ქალი არავის ასდევდა და თავის საქმეს დინჯად და შეუპოვრად განაგრძობდა.

თუმცა, ესეც კია, რომ მზიაც ფეთქდებოდა ზოგჯერ. უცებ თავს წამოადგებოდა პანტის გრილოში წამობარკლულ მწყემსს და დაუტატანებდა:

— შე სანაცილე, აქ რო წამოწოლილხარ და საქონელი ხრიოკზე მიგიყრია, რძე საიდან მოგივა!

— ეს კი იყო, გამოვრეკე წყლიდან და... — თავს იმართლებდა ნირწაცვალი მენახირე და ფაციფუცით წამოზეზეურდებოდა.

— გაილალე, გაილალე ყორუ[illegible] — ნუ გეზარება! — მიაძახებდა მზია და დაუმატებდა, — რა ძალიან უყვართ მომვლელებს ფერმასთან ტრიალი, ვითომ შირაქი პატარა იყოს!..

წეროსავით სწრაფად გაიფრინა სამოცდათექვსმეტმა წელმა. № 4 ბრიგადაში შეაჯამეს ყველა მწველავის წლიური შრომა. მზიამ ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ სოცშეჯიბრების შედეგების შემაჯამებელ რაიონულ შტაბში არ დაიჯერეს, მაჩვენებელი შეცდომად ჩათვალეს და უწყისების ხელახალი გადასინჯვა მოითხოვეს (თანაც თავიანთი წარმომადგენელიც დაასწრეს), მაგრამ საკონტროლო შემოწმებამაც იგივე აჩვენა, რაც პირველმა დაანგარიშებამ: გამარჯვების კოლმეურნეობის მეძროხეობის № 4 ბრიგადის მწველავმა მზია წიკლაურმა 1976 წელს გეგმური 45 და ვალდებულებით ნაკისრი 50 ტონა რძის ნაცვლად 58 036 კგ რძე ჩამოწველა.

მეგობრები და თანამოსაქმენი ულოცავდნენ, ურწმუნო თომანი კი დუმდნენ, თუმცა რაღა ჰქონდათ სათქმელი, როცა მთელი რაიონი მზია წიკლაურის სიყოჩაღეზე ლაპარაკობდა! დიახ, სხვები ლაპარაკობდნენ, აქებდნენ, ადიდებდნენ, მზია კი ფიქრობბდა. ფიქრობდა მომავალზე, გაპიროვნებულ ფურებზე და იმაზე, რომ მიღწეული ზღვარი არ უნდა გამხდარიყო მისთვის.

და აი, მეათე ხუთწლედის მეორე წლის დასაწყისში პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი. ამას მოჰყვა დადგენილება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახებ. აგიტატორებმა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გააჩაღეს.

ჯერი მწველავებზე მიდგა. მზია წიკლაურმა არც ამჟამად უღალატა ჩვეულებას. პირობა დადო, რომ ხუთწლედის მეორე წელს გეგმური 52 ტონის ნაცვლად 60 ტონა რძეს მოწველის, თანაც ამ გეგმავალდებულებას საოქტომბრო იუბილის აღსანიშნავად — 7 ნოემბრისთვის შეასრულებს.

ნაირფრად ბიბინებს შირაქი. ქვაზეც კი ბალახია ამოსული. ნაზამთრი საქონელი ხარბად ეძალება ლორთქო ბალახს. ფერმის ეზოში არ წყდება ხალხის მოძრაობა. განსაკუთრებით თვალში საცემია ერთი გამხდარი, კაფანდარა, მაგრამ მოუსვენარი დედაკაცი, რომელიც ხან ფერმაში გაიელვებს, ხან — სახბორეში, ხან — რძის ლაბორატორიაში, ხან — წყალზე, ხან — კომბინირებული საკვების ფარდულთან. ვერ ისვენებს, ნიადაგ ფუსფუსებს, ტრიალებს, შრომობს, რადგან მხოლოდ შრომა მიაჩნია ამქვეყნიური სიკეთის წყაროდ.

**ჯემალ მეხრიშვილი**

**წითელწყარო**

**1977 წ. ივნისი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ხელოვნებათმეცნიერების დიდი გამარჯვება

კარგა ხანია, რაც ქართულმა ხელოვნებამ ქართული კულტურის ძეგლებმა მეცნიერთა ფართო წრეების განსაკუთრებული ინტერესი დაიმსახურა და მართლაც, განა შეიძლება შუა საუკუნეების ხელოვნების სპეციალისტი არ იცნობდეს V საუკუნის უნიკალურ ძეგლს — ბოლნისის სიონს, მცხეთის ჯვრის ტაძრის სრულყოფილ ჰარმონიას, XI საუკუნის დიდებულ კათედრალებს — ქუთაისის ბაგრატის ტაძარს, ალავერდსა და სვეტიცხოველს, თამარ მეფისა და რუსთაველის ეპოქის ბრწყინვალე ტაძრებს — ბეთანიას, ქვათახევსა და ფიტარეთს, განა შეიძლება სრულად იყოს წარმოჩენილი შუა საუკუნეების მსოფლიო მხატვრობის განვითარების რთული გზა, თუ არ იქნება გათვალისწინებული დავით გარეჯის, და ატენის, ყინცვისისა და ბეთანიის, წალენჯიხისა და უბირის კედლის მხატვრობის ნიმუშები.

ქართული ხელოვნების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა დღეისათვის საყოველთაოდაა აღიარებული და ინტერესი ქართული ძეგლებისადმი დღითი-დღე იზრდება. ეს კი თვით ძეგლების მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის გარდა იმით არის გაპირობებული, რომ ქართულმა ხელოვნებათმეცნიერებამ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ქართული ხელოვნების დიდმა მკვლევარმა აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა, თავისი არსებობის რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ისეთ მაღალ დონეზე აიყვანა ეროვნული ხელოვნების ყველა დარგის კვლევა, რომ ქართული ხელოვნების მონაპოვარი ახლა თამამად შეიძლება დავაყენოთ მსოფლიო ხელოვნების სახელგანთქმულ ძეგლთა შორის.

ამის საუკეთესო დადასტურება მაისის ბოლოს თბილისში მოწყობილი ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი (პირველი სიმპოზიუმი შეიკრიბა ჩრდილო იტალიის პატარა ქალაქ ბერგამოში 1974 წლის ივნისში), რომელმაც საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 200-მდე მეცნიერი მიიზიდა. ეს იყო ქართული ხელოვნების ნამდვილი ზეიმი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მსოფლიოს ხელოვნების მკვლევარნი ქართულ ხელოვნებას.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა განიხილეს ქართული ხელოვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები უძველესი ხანიდან მოყოლებული. სიმპოზიუმის ექვს სექციაში შვიდი დღის განმავლობაში გრძელდებოდა სჯა-ბაასი ქართული ხუროთმოძღვრების, კედლის მხატვრობის, მინიატურებისა და ჭედური ხელოვნების პრობლემებზე. ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის 15 ქვეყნის წარმომადგენლები მსჯელობდნენ ქართული ხუროთმოძღვრების თავისთავადობაზე, შუა საუკუნეების ქართული ფრესკებისა და ბიზანტიური კედლის მხატვრობის ურთიერთობებზე, ქართული ხელნაწერი წიგნის ილუსტრაციების მხატვრულ-ისტორიულ მნიშვნელობაზე, ქართული ჭედური ხელოვნების განსაკუთრებულ სტილისტურ ნიშნებზე.

მეცნიერთა ამ უაღრესად წარმომადგენლობით საკრებულოზე გამოტანილი იყო ასორმოცდაათამდე მოხსენება, რომელთაც საკუთრივ სამეცნიერო ღირსებების გარდა, სხვა მნიშვნელობაც ჰქონდათ — ისინი ამტკიცებდნენ ქართული კულტურის უმაღლეს მხატვრულ ღირსებებს, ქართული ხელოვნების თავისთავადობასა და ორიგინალობას.

არ დარჩენილა ქართული ხელოვნების არც ერთი დარგი, რომელსაც არ შეეხო მკვლევართა ყურადღება. სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენებები და ინფორმაციები მოიცავდნენ საკითხთა უაღრესად ფართო წრეს. ჩვენ არ დავასახელებთ აქ ქართველ მეცნიერთა წვლილს სიმპოზიუმის მუშაობაში, რადგან მათი ნაშრომები ქართული ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე კარგად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. დავასახელებთ მხოლოდ სტუმრების მიერ წარმოდგენილ ზოგიერთ გამოკვლევას, რომ ცხადი გახდეს, რა პრობლემები აღელვებთ ქართული და შუა საუკუნეების ევროპული ხელოვნების მკვლევართ.

იტალიელი ხუროთმოძღვარი ადრიანო ალპაგო ნოველო შეჩერდა ადრექრისტიანული და შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების საკვანძო საკითხებზე. იუგოსლაველმა პროფესორმა ჯორჯე ბოშკოვიჩმა დამსწრეთ გააცნო თავისი მოსაზრებები საქართველოსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ხუროთმოძღვრებისა და პლასტიკის ურთიერთობათა შესახებ. ინგლისელმა მეცნიერმა დევიდ უინფილდმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრის ტაო-კლარჯეთის ძეგლებს. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ბერძენი მკვლევარის პავლოს მილონარის მოხსენებამ ათონის მთის ივერთა ქართული მონასტრის შესახებ.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა უდიდესი გულისყურით მოისმინეს ფრანგი მეცნიერი ქალების ტანია ველმანსისა და ნიკოლ ტიერის მოხსენებები ქართული კედლის მხატვრობის საკითხებზე, ბულგარელი მკვლევარის ლილიანა მავროდინოვას მოხსენება შუა საუკუნეების ქართული და ბულგარული ფერწერის თავისებურებათა შესახებ. უნდ



ატენის სიონის კედლის
მხატვრობა (XI საუკუნე)

დებაზე მსჯელობდნენ ქართველი და რუსი მკვლევარები. დავით კაკაბაძის ფერწერის პრობლემებზე კი ქართველ მეცნიერთან ერთად გატაცებით საუბრობდა ხელოვნებათმცოდნე იუგოსლავიიდან.

სიმპოზიუმის წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა მოსკოვისა და ლენინგრადის ცნობილ მკვლევართა მონაწილეობამ. მათთან ერთად სიმპოზიუმის მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი სომეხი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი, დაღესტნელი და ოსი მეცნიერები, რომელთა მოხსენებებში საინტერესოდ იყო დასმული ქართულ ხელოვნებასთან სხვა ხალხთა ხელოვნების ურთიერთობის საკითხები.

სიმპოზიუმის მუშაობის ერთი კვირა უკიდურესად გადატვირთული იყო. საქართველოს სტუმრები უნდა გასცნობოდნენ ქართული ხელოვნების ძეგლებს, რომელთა

ნ ვიროსმანაშვილი ირემი“



რელი ხელოვნებათმცოდნის ერუბეტ ჩემეგი-ტომპოშის მოსაზრებანი კავკასიისა და უნგრეთის არქიტექტურული კავშირების შესახებ.

ყოველი მოხსენება, რა საკითხსაც არ შეეხებოდა იგი, ამჟღავნებდა უდიდეს დაინტერესებას ქართული ხელოვნების საკითხებით, აღსავსე იყო ქართული ხელოვნების ძეგლთა მხატვრულ-ისტორიული ღირსებების ღრმა რწმენით, ხელოვნების ისტორიის ზოგად საკითხთა კვლევისათვის ქართულ ძეგლთა მნიშვნელობის შეგნებით.

ნიშანდობლივია ის აქტიური ინტერესი, რომელიც გამოიწვია თანამედროვე ქართული ხელოვნების პრობლემებისადმი მიძღვნილმა მოხსენებებმა. განა ბევრის მთქმელი არ არის ის ფაქტი, რომ დიდი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმე-

უბის. (XVI ს.)
მხატვარი დამიანე
„საიდუმლო სერობა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ხახულის კარედი
(X-XII სს.)



ანჩისხატის მაცხოვარი (XII ს.)



მინიატურა
ძველი ქართული
ხელნაწერიდან



ატენის სიონი (VII ს.)

შესახებ ამდენი რამ ჰქონდათ წაკითხული და მოსმენილი. პროგრამა ითვალისწინებდა სხვადასხვა ეპოქის ქართული ხელოვნების ძეგლთა დათვალიერებას: მცხეთის ჯვრის ტაძარი, სვეტიცხოველი, სამთავისი, კახეთის ძეგლები (ძველი შუამთა და ალავერდი), ატენისა და ყინცვისის მონუმენტური ფერწერა.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა დაათვალიერეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ხელოვნების მუზეუმში გაშლილი უძველესი და შუა საუკუნეების ხელოვნების ახალი ექსპოზიციები, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველ ხელნაწერ წიგნთა ბრწყინვალე გამოფენა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე ღია ცის ქვეშ ხალხური ყოფის მუზეუმმა.

სიმპოზიუმის დღეებში თბილისში ბევრი საინტერესო გამოფენა იყო, რამაც საშუალება მისცა მრავალრიცხოვან სტუმრებს გასცნობოდნენ საქართველოს დედაქალაქის მხატვრულ ცხოვრებას, ქართული ხელოვნების სხვადასხვა მხარეს. მხატვარი ქალის ტატიანა შევიაკოვას ქართული ფრესკების ასლების უნიკალურმა გამოფენამ გადაუშალა მათ შუა საუკუნეების მონუმენტური მხატვრობის და მინიატურების მდიდარი საგანძური. თანამედროვე ფერწერის შესანიშნავი წარმომადგენლების ავთანდილ კარაზის, ლევან ცუცქირიძის და რუსუდან ჯავრიშვილის ნაწარმოებთა გამოფენაზე ისინი გაეცნენ ახალი ქართული ფერწერის სხვადასხვა მხარეს.

ქართული კულტურის დიდებულ ტაძარში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწყებული ქართული ხელოვნებისა და ხელოვნებათმეცნიერების ეს დღესასწაული დასრულდა ძველი ქართული კულტურის კერაში — გელათში, გელათის აკადემიის მიწაზე, სადაც წარსულში ილვწოდნენ ქართული კულტურის დიდი მოამაგენი, სადაც საუკუნეთა მანძილზე ნაცად ქართველ ოსტატებს ამოჰყავდათ ტაძრების და აკადემიის დიდებული კედლები, სადაც ქართველ მხატვართა თაობები მოზაიკითა და ფრესკებით ამკობდნენ ნაგებობათა კედლებსა და კამარებს, სადაც მხატვარ-მინიატურისტები უბადლო ოსტატობით ასურათებდნენ ხელნაწერ წიგნთა ფურცლებს და სადაც ოქრომჭედელთა მარჯვენა დაუღალავად ქედდა განუმეორებელი ქართული ორნამენტის პლასტიკურ სახეებს.

გელათის უძველეს მიწაზე, მსოფლიოს მრავალ ენაზე გაისმა ქართული კულტურის დიდება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერნი უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამდნენ სიმპოზიუმის მუშაობის შედეგებით.

გადაიდგა კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისათვის, რათა ქართული ხელოვნების მიღწევები ცნობილი გახდეს მკვლევართა სულ უფრო ფართო წრეებისათვის, იმისათვის, რათა ქართული ხელოვნების ძეგლებმა მტკიცედ დაიმკვიდრონ კუთვნილი ადგილი მსოფლიო ხელოვნების განვითარებაში.

კიტი მაჩაბელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირთამდე ავსილი კალათები

დაამთავრა თუ არა საშუალი სკოლა, ათწლიმ, სხვებივით დედაქალაქში არ გაქცეულა, მშობლიურ სოფელში დარჩა სამუშაოდ. ვიშრომებ და თან დაუსწრებლად კისწავლი უმაღლეს სასწავლებელშიო. მაგრამ სწავლა დროებით გადაიდო. სოფელში ვის არ მოეწონებოდა მოსაქმე, გამრჯე ქალიშვილი და ისიც მალე რომან ჩიკაშუას მეუღლე გახდა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მთელი არსებით ჩაება საკოლმეურნეო შრომაში.

ნანული მელივა-ჩიკაშუამ მეცხრე ხუთწლედი წარმატებით დაამთავრა. ნაცვლად გეგმიური 17.800 კილოგრამისა 29 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა. 3 ტონაზე მეტი ტუნგო დაამზადა 30 კილოგრამამდე აბრეშუმის პარკი გამოიყვანა.

ამ მაჩვენებლებისათვის ნანული მელივა საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის კონფერენციის დელეგატად დაასახელეს, შემდეგ კი საქართველოს კომპარტიის 25-ე ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

ქართველ კომუნისტთა ყრილობიდან დაბრუნებულმა მეჩაიემ ყრილობაზე მიღებული მდიდარი შთაბეჭდილებები ჯერ ბრიგადის მშრომელებს გაუზიარა, და პირობა დადო, რომ მეათე ხუთწლედში მოკრეფდა და მრეწველობას ჩააბარებდა 30-35 ტონა ჩაის ფოთოლს. ეს ვალდებულება გამოიწვევდა ჩოხატაურის რაიონის, სოფელ განახლების კოლმეურნეობის ცნობილ მეჩაიეს მერი დოლიძეს, რომელსაც იგი რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე შეხვდა და გაეცნო.

დაჯილდოებულთა შორის ორივე გამარჯვებულია. მერი დოლიძე წარმატებას წარმატებაზე აღწევს, მაგრამ მას არც მამათელის მეჩაიე ჩამორჩება. შარშან ნანული მელივა-ჩიკაშუამ მოსავლელად გაპიროვნებული 1,65 ჰექტარიდან 6 ტონამდე ჩაის ფოთოლი ჩააბარა სახელმწიფოს. წელს კი აგვისტოს ბოლოსათვის ვალდებულებით გათვალისწინებული 8000 კილოგრამის ნაცვლად 9000 კილოგრამამდე ფოთოლი ჰქონდა მოკრეფილი.

ნანული არ ჩამორჩა რესპუბლიკელ მეჩაიეებს 400 ათასი ტონა ჩაისათვის ბრძოლაში. მის ახალ ვალდებულებაში იყო 8 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოეკრიფა.

რით აღწევს ასეთ მაღალ შედეგებს ახალგაზრდა მეჩაიე?

ნანული გაპიროვნებულ პლანტაციას საგულდაგულოდ ამუშავებს, ამდიდრებს მინერალური და ორგანული სასუქებით, აფხვიერებს როგორც მსუბუქ, ასევე მძიმე გასხვლას, მემოსულ ფოთოლს ყოველგვარ ამინდში შეუფერხებლად კრეფს და ბოლოს, რაც მთავარია, უყვარს თავისი საქმე. სიყვარულით კი, მოგეხსენებათ, მთებიც იძვრიან და დუყებს ბუჩქებზე არ აკაჩრებს.

ნანული მელივა-ჩიკაშუას თუყაოთ შრომა დაფასებულია. იგი არჩეული საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრად, დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით. არის სასოფლო საბჭოს დეპუტატი. საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის მიერ მიღებული აქვს ქების სიგელები, ფულადი პრემიები და ფასიანი საჩუქრები.

მას შრომა უყვარს. სამშობლოსადმი ურყევი სიყვარული და ერთგულება კი ერთერთ პირველ მოთხოვნადაა ჩაწერილი საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაში.

რ. ლოლუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაერტ ჩართოლანი

# ႫႨႲႠႺႤႡႳႪႨ ႱႠႺႭႪႤ

მოთხრობა

ნოემბერი იდგა. ოჯახს ქორწილის სუფრა გაეშალა. ამქვეყნიური საზრუნავი დროებით ყველას გვერდით გადაედო და დაევიწყებინა. არყის სმისაგან გაბრუებული ხალხი ერთმანეთს მეგობრობასა და სიყვარულს ეფიცებოდა. თამადა სუფრაზე მსხდომთ ასხამდა ხოტბას, ხოლო სიფხიზლეში გაუბედავი დინჯი ჭაბუკი, თანატოლ გოგოს მიჯნურობას ეჩურჩულებოდა. დიდ-პატარას სიყვარულის ცეცხლი ეკიდა.

დემეტს, არცერთი სასმისი რომ არ გამოეტოვებინა, ერთი აზრი აეკვიატა: კარგა ხანს იფიქრა, აწონ-დაწონა, შესაძლებლობებს თავიდან ბოლომდე გადახედა გონების თვალით და გადაწყვიტა განზრახვა ბიძაშვილისათვის ახლავე ჩაეწვეთებინა ყურში.

— დილას ნუნა ვნახე, ბიძასთან მიდიოდა მეზობელ სოფელში.

— მერე მე რა?

— იქ ხომ არ დარჩება! მითხრა, მალე დავბრუნდებიო. სულ სამი კილომეტრი აქვს გასავლელი.

— ვიცი, — ნაღველგარეული ხმით უპასუხა ვაჟამ.

— თუ იცი, აქ რას უზიხარ? გაისარჯე, თავი გაანძრიე, ქალი თავისი ფეხით ხომ არ მოგივა შინ.

— რა გავაკეთო? — იკითხა არყით თავდამძიმებულმა და გონებადაფანტულმა ვაჟამ.

— არაფერი, იჯექი და სხვის ქორწილს მოულხინე. ორი წელი ქალს თხოულობ, კიდევ ერთი ამდენი მოიცადე, ამასობაში ჩიტი ხელიდან გაგიფრინდება, შენ კი უცოლოდ დაგვიბერდები.

— ან სხვას გაჰყვება, ან მე დამრჩება, — სცადა ხუმრობა ვაჟამ.

— რათა სხვას? — შუბლი შეიკრა დემეტმა, — ჩვენ ვისზე ნაკლები ვართ, ვინ რით გვჯობია, გვარიშვილობით თუ ვაჟკაცობით?

— არ ვიცი!

— თუ არ იცი იჯექი. შენს დახმარებაზე ფიქრიც არა ღირს, კაცი ადგილიდან ვერ დაგძრავს.

— რით უნდა დამეხმარო?

— რომ იცოდე, უწინ ასეთ დროს ქალს დახვდებოდნენ, ნაბადში გაახვევდნენ, მოიტაცებდნენ და საქმეც ამით მოთავდებოდა.

ამის გაგონებაზე ვაჟა გახალისდა, სახე გაუნათდა, გამოცოცხლდა. დიდი ხნის დაგუბებული ნაღველი გულიდან მოეხსნა და იკითხა — საქმეს ორნი მოვერევით?

— თებექს კაცად არ მიიჩნევ? როგორ ფიქრობ, უკან დაიხევს ან თავს დაგამადლის?

— მერიდება.

— მე თვითონ ვეტყვი.

თებექს თქმა არ დასჭირვებია. ბიძაშვილების საუბარს თავიდან ბოლომდე უსმენდა და თავის დაკვრით ანიშნა მზადყოფნა.

სამი კაცი სუფრიდან ცალ-ცალკე ისე გაიპარა, მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ქურდულად შეიპარნენ საკუთარ სახლებშიც. ვაჟამ ჩანთაში მცირედი საგზალი ჩააწყო და ორლულიან სანადირო თოფს წამოავლო ხელი. დემეტმა ლულაგადაჭრილი, ჟანგმოდებული შაშხანა გადაიკიდა მხარზე, ხოლო თებექი მეზობლისგან ნათხოვარი მცირეყალიბიანი შაშხანით შეიარაღდა. ძველი ადათ-წესი მოითხოვდა, ქალის მოსატაცებლად იარაღში ჩამსხდარნი უნდა წასულიყვნენ.

ორ მეზობელ სოფელს შორის გამავალ გზას ამ სოფლებიდან ერთნაირი მანძილით დაშორებული, მთაზე მიმავალი ბილიკი უერთდებოდა. სამეულმა გზის ეს მონაკვეთი შეარჩია ჩასაფრების ადგილად.

დემეტი გზას თვალს არ აშორებდა, სმენად ქცეულიყო, ღელავდა. როგორც ასაკით უფროსს და ამ საქმეში მცირედი გამოცდილების მქონეს, ორი ახალბედა მას უსიტყვოდ ემორჩილებოდა. მეზობელი სოფლის მისადგომებთან ერთ წერტილს დააშტერდა დემეტი, მერე ამხანაგებს ანიშნა:

— ქალია თუ კაცი?

— ქალია! — თქვა თებექმა.

— ნამდვილად ქალია, — დაუმოწმა ვაჟამ.

— ეს მეც ვიცი, — იწყინა დემეტმა. — თქვენ ის მითხარით, ვისაც ველოდებით, ის არის თუ სხვა, ან იქნებ სულ ერთია ვის მოიტაცებ? — გააქილიკა სასიძო.

— ნუნაა, — იცნო თებექმა.

— ნუნაა, — კვერი დაუკრა ვაჟამ, და სანთელივით გაფერმკრთალდა.

— რას გაჩერებულხართ, ცოცხლად იმოქმედეთ. — დატრიალდა დემეტი.

— თებექ, შენ გზის ქვემოთ ბუჩქებში ჩასაფრდი. ვაჟა, აქ დაიმალე. პირველი მე შევეგებები, ვეტყვი რაც სათქმელია. მერე თქვენც გამოხვალთ საფარიდან და მომეშველებით.

— უხეშად არაფერი გამოგვივიდეს, — ათრთოლებული ხმით წარმოთქვა ვაჟამ.

— ნუ გეშინია, არაფერს დავუშავებთ. ხელს მოვკიდებთ და თუ საჭირო გახდა, პირში ამ პირსახოცს ჩავჩრით. — დემეტმა ხელში გაქონილი ტილოს ნაჭერიააფრიალა. შემდეგ თვალით ანიშნა წინასწარ მიჩნეული ადგილებისაკენ წასულიყვნენ.

ქალიშვილი გზას უდარდელად მიუყვებოდა. ტყეს ფოთოლთცვენის ჟამი დასდგომოდა. მთიდან მონაბერი სიო ათასფრად აფრიალებდა ტყის გაყვითლებულ სამოსელს. ბუნებას შეზრდილი ქალიშვილი ვერ გრძნობდა რა ულამაზეს გარემოში იმყოფებოდა. ათასჯერ ნანახ და განცდილ ფერთა შუქს, მის თვალში სილამაზის იდილიური, მომაჯადოებელი ძალა დაჰკრავდა და, მისგან შეუმჩნევლად, შეუცნობელი რჩებოდა. მომწიფებული ქალის გონება ოცნების ალმაფრენას მინდობოდა. სხვაგან რბოდა მისი დაუოკებელი ფიქრები. ხან ზღაპრულ კოშკში დანავარდობდა, ხან სვანური ლეგენდის გმირ მზექაბუკზე ოცნებობდა... შორ სივრცეში ულიმოდა ბედის ვარსკვლავს და... ამ დროს, ანაზდად, წინ კაცი აესვეტა.

— შეჩერდი და მომისმინე! — ბრძანების კილოთი შესძახა დემეტმა.

— რა გინდა, დემეტ? რად უნდა გავჩერდე? — გაიკვირვა და ითა-

კილა ქალიშვილმა, რომელიც ვერ მიხვდა თანასოფლელის განზრახვას.

— გონიერად მოიქეცი, ფუჭად თავს ნუ გაიწვალებ, რაც უფალს მოუცია, იმ ბედს დასჯერდი, წივილ-კივილით არაფერი გამოგივა, ხელიდან ვერ წაგვიხვალ.

ქალიშვილი არ ელოდა ამგვარ შეხვედრას. შემკრთალი, შეშინებული ლამობდა გზის გაგრძელებას, მაგრამ წინ ძალღონით სავსე ბრგე ვაჟკაცი აუდებულიყო, რომელსაც კიდევ ორი შეიარაღებული კაცი ამოუდგა. ვაჟას გამოჩენისთანავე ნათელი გახდა, რისთვის ულობავდნენ გზას. გონს მოსვლა არ აცალეს, ორმა კაცმა მაჯებში ჩაავლო ხელი და მწყემსების საზაფხულო სადგომებისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყენეს. ქალი შეევედრა, შესთხოვა, დამეხსენით, ჩემს გზაზე გამიშვითო, მაგრამ მისი ნათქვამი არავის ესმოდა. მალე დარწმუნდა, რომ ქორი მსხვერპლს ნებით ბრჭყალებიდან არ გაუშვებდა. კივილს თავი ანება და თავის დახსნაზე ფიქრს შეუდგა.

კაცები მალე დარწმუნდნენ, რომ ბატკანივით უწყინარი არსება მიჰყავდათ და მაჯებში ღონივრად ჩაფრენილი ხელები თანდათან გაშალეს, ხოლო შემდეგ სულ შეუშვეს ხელი.

ახლა ყველას თებექი მიუძღოდა წინ. ქალი მას მიჰყვებოდა, ხოლო რიგის ბოლოში ფეხათრევით მიდიოდა ჩაფიქრებული ვაჟა. ხმას არავინ იღებდა. დემეტს და თებექს სასმელი მოკიდებოდათ, ფეხს ურევდნენ. ნახევარი გზა ისე გაიარეს, არსად შეჩერებულან. როცა თავი სამშვიდობოს იგულეს, აქ შევჩერდეთ და შევისვენოთო, თქვა თებექმა.

— შევისვენოთ, — უპასუხა დემეტმა, რომელიც ფიქრობდა: ეს რა ხოხობივით უწყინარი და რა ანგელოზი ყოფილაო. ასე მშვიდობიანად, უაურ-ზაუროდ ჯერ ქალი არავის მოუტაცია. ჩემი ხელიდან გაქცევა უფრო ძნელია, ვიდრე არწივის ბრჭყალებიდან თავის დაღწევა. და ალბათ, ამიტომაც მოგვყვება ნუნა ასე ჩუმადო.

— გოგო, ჰაჯექი, დაისვენე, ეს ბიჭია შენი ბედი, მოგწონს თუ არა, ახლა ეს სალაპარაკოდ არ ღირს. იცხოვრებთ ერთად და ისე შეგიყვარდება რომ მზეჭაბუკში არ გასცვლი. — მისცა „ბრძნული“ რჩევა-დარიგება დემეტმა.

კაცები მდელოზე ჩამოსხდნენ, ქალი კი არყისხეს მიეყრდნო და დაბოღმილი, თვალცრემლიანი უყურებდა იქ მყოფთ.

თებექმა თაოსნობა გამოიჩინა, ვაჟას მოტანილი ხელჩანთა გახსნა და საგზალი გაშალა.

— იდღეგრძელეთ, შეაბერდით ერთმანეთს როგორც კირი და ქვიშა. დავრწმუნდი, გონიერი გოგო ყოფილხარ. რაც მორია, ნაფოტიც ის არის — კარგი ოჯახის შვილს უფლება არა გაქვს ასეთი არ იყო. თან, ძმებსაც ხომ გაფრთხილება უნდა? ახლა ერთი პატარა წერილი დაგვიწერე, რომ სოფელში აურ-ზაური არ ატყდეს. შენი მშობლებიც დამშვიდდებიან, შეგირიგდებიან და კარგი ქორწილი გაჩაღდება. — ასე დაასრულა დემეტმა სიძე-პატარძლის პირველი სადღეგრძელო, ჭიქა დაცალა და ცარიელი სასმისი თებექს გადასცა.

ნუნა კრიჭაშეკრული, გულამღვრეული ისმენდა დემეტის შეგონებას. ხმას არ იღებდა. შემდეგ თითქოს რაღაცას მიაგნო, ბაგეზე დამცინავი ღიმილი აეკრა. იქვე კუნძზე ჩამოჯდა. დემეტმა ფანქარი და ქაღალდის ნახევი მიაწოდა.

— რა დავწერო? — იკითხა ქალმა.

— დაწერე! რა დაწერე, იცი? მისწერე, რომ... დასწყევლოს ღმერთმა, სულ დამავიწყდა... რა უნდა მეთქვა? მან კარგა ხანს იფიქრა, მერე გაიღიმა, — დაწერე, რომ კი არ მოგიტაცეთ, ისე...

დემეტის საქციელზე ქალიშვილმა სიცილი ვერ შეიკავა და სიტყვა გააწყვეტინა.

— ისე... თქვენ კი არ წამოგიყვანივართ, არამედ მე მოვიტაცე ვაჟა. ასე ჯობს, ხომ?

— არა, ამას არ დაიჯერებენ, თანაც ვაჟას მშობლები იწყენენ, ქალმა ვაჟიშვილი მოგვტაცაო. დაწერე, რომ შენი სურვილით გადაწყვიტე და გაჰყევი კიდეც.

— თანაც მაყრებად დემეტი და თებექი გვახლდნენ და იმათი თითების კვალი მაჯაზე მატყვია, არა? — გაიცინა ქალმა.

— არ ივარგებს. — ჩაფიქრდა დემეტი.

— წერილი რა საჭიროა, საღამოს ამათ ოჯახში მივიდეთ, — თვალით ვაჟასკენ ანიშნა ნუნამ, — რომელიმე თქვენგანი მიხვალთ და ჩვენებს შეატყობინებთ, რომ მე ჩემი ნებითა და სურვილით გავყევი და დამთავრდება ყველაფერი.

— აშენა ღმერთმა შენი ოჯახი! იდღეგრძელე, იხარე, იბედნიერე, იმრავლე... დემეტმა თებექს გადახედა, ანიშნა ჭიქა შემივსეო. სავსე ჭიქით ხელაღმართულმა ქარაგმულ-შეკაზმული სიტყვებით შეამკო თვინიერი გოგო და სასმისი ფსკერამდე დაცალა.

თებექმა მოკრძალებული სადღეგრძელო წარმოთქვა. ბედნიერება, ძეთა სიმრავლე, ცხრა ვაჟი და ერთი ქალი უსურვა ახლადშეუღლებულთ. ვაჟამ უხმოდ დაცალა ჭიქა.

დემეტმა კიდევ დიდხანს იქადაგა და მხოლოდ მაშინ მიყუჩდა, როცა ორი ბოთლი სასმელი ფსკერამდე დაცალა.

ქორწილში ლამენათევთ, სასმელმა ძილი მოჰგვარათ. დემეტი თვალის მოსატყუებლად მდელოზე წამოწვა და მალე ფშვინვა ამოუშვა. რადგან ხელმძღვანელმა დაიძინა, თებექმა იფიქრა, ალბათ ასეა წესი და რიგიო და ქალ-ვაჟს თავისუფლად რომ ეგრძნოთ თავი, მათკენ ზურგშექცევით წამოწვა მდელოზე.

ვაჟა მწარედ ნანობდა, ამ უჯიათის რჩევა-დარიგებას რომ დაჰყვა და ფიქრობდა, როგორ დაეღწია თავი ამ მდგომარეობიდან. ნუნას ასე არ დათრგუნავს, არ დაიმორჩილებს. ეს ვერაფერი ვაჟკაცობაა... საოცნებოს თვალს ვერ აშორებდა ვაჟა. ქალის გამოხედვა სათნო, ნაზი, და ნეტარების აღმძვრელი ეჩვენა, მისმა მზერამ დაატყვევა, დაათრო და დაიმორჩილა. ორთავეს ბაგეზე ტკბილი ღიმილი ეფინათ, ნაფიქრალს უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს.

ჭაბუკი მხართეძოზე წამოწვა და თვალები მილულა. ქალი კი წამოდგა, დემეტის თოფს ხელი წამოავლო, შემდეგ თებექს აცალა იარაღი. გაუბედავი ნაბიჯით, ფეხაკრეფით გაეცალა იქაურობას და სოფლისაკენ მიმავალ ბილიკზე დაეშვა. რაც უფრო სცილდებოდა კაცთა ადგილსამყოფელს, მხნეობა და გამბედაობა ემატებოდა, მაგრამ შვებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, სოფლის მისადგომები რომ გამოჩნდა. გზად არავინ შეხვედრია, ვიდრე გზის პირას აშენებული სახლის ეზოში დემეტის ცოლი არ შენიშნა.

— ეს იარაღი დემეტმა და თებექმა გამომატანეს.

— თვითონ სად არიან, რათ შერჩნენ, რას აკეთებენ? ქორწილში მყოფთ იარაღი რისთვის დასჭირდათ? — შეიცხადა დემეტის ცოლმა.

— არ ვიცი, მოვა შინ და ჰკითხე. — მშვიდად მიუგო ნუნამ და გზა განაგრძო.

შინ მისული მღელვარებას ვერ მალავდა, გაორებულ ფიქრებს თავს ვერ ართმევდა. ეს რა მოსიყვარულე, სათნო გული ჰქონია ვაჟას, ასე დაჟინებით რათ ვწუნობდიო.

ფიქრებში წასულს თავს დედა წამოადგა.

— მოხვედი, შვილო? — იმ კაცმა ისევ გამოგვიგზავნა მაშვლები. ხვალ გადაჭრით ან „ჰო“ უნდა ვუთხრათ ან „არა“, თორემ აღარ გვეშვებიან.

— ვისზე ლაპარაკობ, დედი, ვინ გამოგვიგზავნა კაცები? — იკითხა ნუნამ.

— ვაჟას მამამ. მთელი ოჯახი შენ გელოდებით, რას გადაწყვეტ. დედა ვარ, შვილო, მე ნუ დამიმალავ, ან ჰო თქვი, ან არა.

ნუნას სახე აელეწა, რაღაცნაირი სითბო ჩაუდგა გულში და ხმა გაებზარა.

— რა ვიცი, შვილო, ეს ორი წელია უკუღმა ხარ გადაბრუნებული, ძალას ველარ გატანთ, — დედა მიხვდა, რომ შვილს გუნება გამოცვლოდა. გახალისდა, სახეზე მხიარული ღიმილი მოეფინა.

— რა გითხრა, დედა, — ძლივს ამოღერღა ნუნამ, — როგორც შენ მეტყვი, ისე მოვიქცევი.

. . . . . . . . . . . . .

— რა იქნა ქალი, სად გაქრა ჩემი თოფი, ყვიროდა — გამოღვიძებული დემეტი. — ეს არის ვაჟკაცობა? ქალი ამოგიყვანე, ხელში ჩაგაბარე, შენ კი იარაღიც თან გაატანე?! ამ სირცხვილს სიკვდილი სჯობია! თქვენ ვინ მოგცათ ქალის მოტაცების შნო!

— რა დროს ყვირილია, შე კაცო, აქედან წავიდეთ, სანამ დროა, — თქვა თებექმა და ტყეს შეერია. დემეტიც მას მიჰყვა.

მხარზე თოფგადებული ვაჟა მარტო დაეშვა სოფლისაკენ მიმავალ ბილიკზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზეიმი მესხეთის მიწაზე

წლეულს 2 და 3 ივლისს საქართველოს უძველეს და ულამაზეს კუთხეში მესხეთ-ჯავახეთში ჭეშმარიტი ზეიმის დღეები სუფევდა. აქ თავი მოიყარეს რესპუბლიკის თეატრალურმა საზოგადოებამ, თეატრის უამრავმა კეთილმოსურნემ და გულშემატკივარმა, ადგილობრივმა მაყურებელმა, რათა ღირსეულად აღენიშნათ ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერის — მესხეთის სახელმწიფო თეატრის დაარსების მეასე და განახლების მეათე წლისთავი.

როდესაც ვსაუბრობთ თეატრზე, რომლის არსებობის ისტორიამ ას წელს გადააბიჯა, ბუნებრივია, მას მდიდარი და საყურადღებო წარსული აქვს. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, როდესაც ქართულ თეატრს მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა, განიცდიდა დამცირებასა და დევნას მეფის თვითმპყრობელობისაგან, მესხეთის თეატრს ორმაგი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ერის წინაშე: მას ნამდვილი გარდატეხა უნდა შეეტანა მოსახლეობაში, სადაც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები სჭარბობდნენ, აღემაღლებინა ხალხის თვითშეგნება, პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთება, გაეფართოებინა განათლების ჰორიზონტი, და, რაც ყველაზე მთავარი იყო, განსაკუთრებული როლი შეესრულებინა ქართული ენის დაცვისა და განმტკიცების წმიდათაწმიდა საქმეში. მესხეთის თეატრი მუდამ მყარად იდგა თავისი პოზიციების სადარაჯოზე და განუხრელად ახორციელებდა თავის წინაშე მდგარ დიდ ეროვნულ მისიას.

მესხეთის თეატრმა განსაკუთრებით ლაღად გაშალა ფრთები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1924-1936 წლები მარტო ახალციხის თეატრისა კი არა, საერთოდ ქართული თეატრის აღმავლობისა და აღორძინების წლები იყო. თეატრებმა, რომელთაც კ. მარჯანიშვილი და ს. ახმეტელი ხელმძღვანელობდნენ მთელ კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც გაიტანეს ქართული ხელოვნების სახელი. ბუნებრივია, რომ რესპუბლიკის ამ ორი მოწინავე თეატრის აღორძინება გავლენას ახდენდა სხვა რაიონულ თეატრებზე; ყველგან იგრძნობოდა სწრაფვა თეატრალური განახლებისაკენ, მათ შორის, რა თქმა უნდა ახალციხეშიც.

მესხეთის თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში ყველაზე ნათელი, რომანტიკული და ამაღლებული ის დღე იყო, როდესაც თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის და ს. ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან შექმნილმა ჯგუფმა, ახალგაზრდა რეჟისორის ნანა დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით, წარმოადგინა პირველი სპექტაკლი — ო. ჩხეიძის ტრაგედია „თედორე“. ეს ქართული თეატრის, მთელი ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობის ნამდვილი ზეიმი იყო, ახალი კოლექტივის დაბადებას რომ მოჰყვა. ახლადშექმნილი დასი განსაკუთრებული მონდომებით, ენთუზიაზმით, გატაცებით მუშაობდა, რასაც შესაფერისი შედეგიც მოჰყვა — მივიღეთ მონოლითური, ერთი სუნთქვით შედუღაბებული, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე სპექტაკლი, რომელმაც დიდი შემოქმედებითი ზეგავლენა მოახდინა მაყურებელზე.

პირველივე სეზონის შემდეგ ახალციხის თეატრი სამი სპექტაკლით (ო. ჩხეიძის „თედორე“, ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“, გ. ბერიაშვილის „მეხდაცემული კაცი“) ეწვია თბილისს. გასტროლებს უჩვეულო ინტერესით შეხვდა დედაქალაქის მაყურებელი. წარმატება დიდი და სავსებით დამსახურებული იყო.

ამას წინათ, მოსკოვში, ე. ვახტანგოვის სახელობის თეატრის სცენაზე ახალციხელებმა წარმატებით წარმოადგინეს ა. გეწაძის „პაემანი ცაში“, რაც ახალგაზრდული თეატრის შემოქმედებითი პოტენციალის უდავო აღიარება იყო.

მესხეთის თეატრის ცხოვრებაში კიდევ ერთ დღეს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა — როდესაც იგი საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა. ეს საპატიო ჯილდო განსაკუთრებით სასიხარულო და საამაყოა ახალგაზრდა კოლექტივისათვის. რა უნდა იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, ამაგს, თავდადებულ შრომას ესოდენ ღირსეულად რომ დაგიფასებენ!

მესხეთის თეატრის მდიდარი წარსული, განახლებული თეატრის სისხლსავსე, ინტენსიური ცხოვრება საინტერესოდ, საქმის ღრმა ცოდნით წარმოგვიდგინა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, თეატრმცოდნემ მარგარიტა გოგოლაშვილმა თავის წიგნში „მესხეთის თეატრი“. ერთ-ერთი უპირველესი ღირსება, რითაც წიგნი იპყრობს მკითხველის ყურადღებას, არის ავტორის გულწრფელობა, სათუთი და მოკრძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებული დამოკიდებულება საკვლევი ობიექტისადმი. აქ გამოკვეთილია ავტორის პოზიცია, თვალნათლივ გამოსჭვივის ის სიყვარული და პატივისცემა, რომელიც უკავშირდება თეატრის მიერ განვლილ სახელოვან გზას. მ. გოგოლაშვილმა ამ წიგნით კარგი საჩუქარი მიუძღვნა მესხეთის თეატრის საუკუნოვან იუბილეს.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნ. გურაბანიძემ, რომელმაც აღნიშნა მესხეთის თეატრის განსაკუთრებული როლი ქართული კულტურის ისტორიაში, და თეატრის შემოქმედებითს კოლექტივს ახალი სასახელო წარმატებების მოპოვება უსურვა. მომხსენებელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, დოცენტმა ვ. კიკნაძემ ვრცლად მიმოიხილა მესხეთის თეატრის ისტორიული წარსული და აწმყო, ისაუბრა მის დღევანდელ მიღწევებზე, მომავლის პერსპექტივებზე.

საიუბილეო ზეიმში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ლ. ბოლქვაძემ, პროფესორმა დ. ჯანელიძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ, რუსთაველის სახელობის თეატრიდან — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ბ. წიფურიამ, თელავიდან — რესპუბლიკის სახალხო არტისტმა თ. ბურბუთაშვილმა, რუსთავის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა და მთავარმა რეჟისორმა ა. ქუთათელაძემ, დრამატურგებმა მ. ბარათაშვილმა, გ. ხუხაშვილმა, ა. გეწაძემ, გ. ბათიაშვილმა და სხვებმა.

მასპინძელთაგან თეატრს მიესალმნენ: ასპინძისა და ახალქალაქის რაისაბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეების მოადგილენი — თ. ჭიკაიძე და თ. ლაზარაშვილი, პარტიის ადიგენის რაიკომის მეორე მდივანი გ. პეტაშვილი, ახალციხის მესამე საშუალო სკოლის დირექტორი ა. კარაკაშიანი; მშრომელთა სახელით — ე. ხითარიშვილი. თეატრის შემოქმედებითი მუშაკებისადმი მიძღვნილი საკუთარი მეგობრული შარჟები წაიკითხა ქორეოგრაფმა ვ. კვინცხაძემ.

დაუვიწყარი სანახაობის მოწმე გავხდით მეორე დღეს. თეატრის კოლექტივმა ვარძიაში წარმოადგინა ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნამუშევარი — ო. ჩხეიძის ტრაგედია „გიორგი“; დეკორაციებად გამოყენებული იყო კაშკაშა ცა ირგვლივ ზვიადი მთებით; რეკვიზიტად კი — ქართველი ერის სიამაყე, კლდეში ნაკვეთი ქალაქი — ვარძია!

დიდი გემოვნებით, ორიგინალური ჩანაფიქრით წარმოგვიდგინეს საიუბილეო საღამო ნანა დემეტრაშვილმა და მხატვარმა აივენგო ჭელიძემ.

მესხეთის მიწა-წყალზე გამართული ზეიმი მთელი ქართული თეატრის აღიარების უტყუარი საბუთი იყო.

სულ ახლახანს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, მესხეთის თეატრის ახალგაზრდული კოლექტივის ძირითად ბირთვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა. სულითა და გულით ვულოცავთ თითოეულ მათგანს ამ მაღალ ჯილდოს.

ვაჟა ძიგუა



# გლდანის ქალთა საბჭოში





დღითიდღე იმკვიდრებს ავტორიტეტს გლდანის მასივი და არც თუ უსაფუძვლოდ. აბა, ინებეთ და მოიძიეთ გადამტვრეული, გადამხმარი ხეები. აქ უყვართ საკუთარი სახლი, ეზო, ქუჩა, კვარტალი და ზრუნავენ კიდეც. მარტო წლეულს, გაზაფხულზე წყალტუბოელთა გამოგზავნილი ორიათასამდე ხე და ბუჩქი შემატეს აქაურობას. თითო კასრ წყალს ნარგავებისათვის არავინ იშურებს. ამიტომაც მიიწევს ზევით, ცისკენ კიპარისები და ნაძვები, ფიჭვები და ალვის ხეები, ძეწნები... ამითაც მჟღავნდება გლდანელთა მოქალაქეობრიობა...

შენობათა ფასადები: ნაკლებდატვირთული აივნებით, სახურავებზე — სატელევიზიო ანძათა არც თუ ისეთი მოზღვავება... ოთხ სადღეღამისო ფასიან და უფასო ავტომანქანათა სადგომს საგრძნობლად განუტვირთავს ქუჩები.

ორმოცდაათიათასზე მეტი მცხოვრები, შვიდი საშუალო სკოლა, 12 ბაგა-ბაღი, 23 სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტი (მათ შორის ორი საჭყუმპალაო), ერთადერთი საბავშვო ბიბლიოთეკა, თუმცა, არცერთი წიგნის მაღაზია; არცერთი კინოთეატრი... გლდანის მკვიდრთ არ ესაყვედურებათ: შეგნებულად და შემართებით შეხვდნენ პირველ გასაჭირს. მერე კი თავად ჩაუყარეს საფუძველი კეთილ ტრადიციებს...

მადლიანი ხელი ტრიალებს ირგვლივ. სამი წელია ღიაა გლდანის მეორე მიკრორაიონის სახალხო საბჭოს კომიტეტის კარი. თავმჯდომარის რაუდენ ვურგენიძის სამუშაო ოთახში არ ილევა მიმსვლელი. მიდიან. კომიტეტის წევრებიც ზრუნავენ, დასახმარებელთ — ეხმარებიან. სასარგებლო მუშაობას ეწევა ქალთა და მართლწესრიგის პროფილაქტიკის საზოგადოებრივი საბჭოები, ამხანაგური სასამართლო, ცალკეული სახლის საბჭოს კომიტეტი, ცალკეული სექციები. გულისხმიერ ადამიანებს სიკეთე შეაქვთ თითოეულ ოჯახში. მაგიდაზე „მემატიანე“ დევს. ვფურცლავთ და ვიგებთ რა დიდი შრომა გაუწევია ქალთა საბჭოს ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში.

საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მოზარდთა სწავლა-აღზრდის, დიასახლისთა შრომისა და დასვენების ორგანიზაცია, პენსიონერების, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების დახმარება, — აი საზრუნავი გლდანის ქალთა საბჭოსი, რომელსაც სათავეში უდგას ჟურნალისტი დოდო ზურაბიშვილი, წევრები: 39-ე საშუალო სკოლის პედაგოგი იზოლდა გოცირიძე, დიასახლისი იზოლდა ბირთველაძე. პირველი მიკრორაიონის პარტიული ორგანიზაციის მდივანი მერი ბასკაევა, სახალხო საბჭოს პედაგოგ-ორგანიზატორები რაისა ბაშარული, გულიკო ნახუცრიშვილი, მადლენა სულამანიძე, თინა სალაყაია, ლოლა გოგიბერიძე, ოლია ბარბაქაძე (ბუღალტერი)... სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის 17 წევრს აერთიანებს საბჭო. ქალთა საბჭომ უშუამდგომლა ეკატერინე ლომიძის ოჯახს, ქარხანა — „ელექტროგამშვებების“ ადმინისტრაციასთან საბინაო აღრიცხვაზე რომ აეყვანათ. მკაცრი კონტროლი აქვთ დაწესებული, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზე სანიტარულ-ჰიგიენური თუ საბჭოთა ვაჭრობის ნორმები რომ არ დაირღვეს.

დიასახლისების თხოვნით ქალთა საბჭომ იზრუნა გლდანში მშენებლობების გამო დროებით დახურული ბაზრის გასახსნელად. წლეულს სექტემბერში, „მეგობრობის კვარტალში“ ისევ აღადგინეს ბაზარი...

ქალთა საბჭოში შესული არცერთი განცხადება უყურადღებოდ არ რჩება. პირველ მიკრორაიონში მდებარე საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ერთ-ერთ ფილიალს ცემენტის იატაკი ჰქონდა. ქალთა საბჭოს ჩარევით შენობაში ხის იატაკი დაიგო. ახლა თბილისის 160-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა ბედი აწუხებთ. ცემენტზე გადაგებული ლინოლეუმის იატაკიან საკლასო ოთახებში, კაბინეტებსა და დერეფნებში გაძლება ჭირს (განსაკუთრებით ზამთრობით).

დასასრ. იხ. მე-19 გვ-ზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეხვედრები ჭიათურაში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ამ წინადღეებში ქალაქ ჭიათურის მუშებმა და მშრომელმა ინტელიგენციამ შემოქმედებითი შეხვედრა მოუწყო ჩვენი რედაქციის კოლექტივს.

1979 წელს „შავი ოქროს" ქალაქი თავისი დაბადების ერთ საუკუნეს იზეიმებს. ასე, რომ ორი დიდი თარიღის ღირსეულად შესახვედრად ილვწიან ჭიათურის მშრომელები. და განა მარტო ქალაქი — ზემო იმერეთის მთელი ეს მშვენიერი კუთხე, რომლის ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდილი მისი მუშები — ქალაქის ახლო-მახლო სოფლების კოლმეურნეები არიან, რაც ბუნებრივია, საფუძველია ამ რაიონის მუშათა და გლეხთა ინტერესების სრული ერთიანობისა.

ამ ინტერესებით განისაზღვრა შეხვედრის მთავარი თემაც: „ჭიათურის მშენებელთა შრომითი აღზრდა".

აღზრდაზე საუბარი სამთამადნო კომბინატის მეხუთე ბაგა-ბაღში (გამგე ნ. ლეჟავა) დაიწყო. საუბარი ბაგა-ბაღებისა და პრესის ინტერესების ერთიანობას, ბავშვთა შრომითი აღზრდისა და მშობელთა პედაგოგიზაციის საკითხებს შეეხო.

... ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებლის, ქალაქის მეშვიდე საშუალო სკოლის (დირექტორი ე. ვაშაძე) შენობის ყოველი კუთხე, კაბინეტ-ლაბორატორიებით დაწყებული და დერეფნებით დამთავრებული, მოსწავლეებს ისე ფაქიზად და ლამაზად აქვთ მოვლილი და შენახული, რომ ესეც თავისთავად მათ სწორ აღზრდაზე მეტყველებს.

... შემდეგ სამკერვალო ფაბრიკას (დირექტორი ს. ბურჯანაძე) ვეწვიეთ და თავად გავხდით მოწმე, თუ დაოსტატებული მკერავების გვერდით, როგორ იძენენ აუცილებელ შრომითს ჩვევებს საშუალო სახწავლებელდამთავრებული ახალგაზრდები.

აღზრდის ეს მესამე საფეხური ისევე აუცილებელია, როგორც ზემოთდასახელებული ორი, რადგან ეს ახალგაზრდები უშუალოდ აქ სწავლობენ წუთის ფასს, შრომის ყადრს, მშრომელი ადამიანის სიყვარულსა და პატივისცემას, აქ იმსჭვალებიან საკუთარი ძალის რწმენით, წარმოებისა თუ მეურნეობის, თავისი ქალაქისა თუ სოფლის პატრიოტიზმით.

ეს სიყვარულია, შემდეგ აქეთ რომ ეწევა უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულებს — ქალაქის ტექნიკური ინტელიგენციაც და საერთოდ ამ კუთხის ინტელიგენცია თითქმის მთლიანად ჭიათურლები არიან — მისი მკვიდრნი.

ეს სიყვარულია, ფრთას რომ ასხამს ჭიათურლებს ახალ-ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად, X ხუთწლედის გრანდიოზული გეგმების განსახორციელებლად: ჭიათურლები ვარაუდობენ, გეგმით გათვალისწინებული 9393 ათასი ტონის გა-



კ. მარქსის ... სახელობის ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა









დამეტებით, ზეგეგმური 200.000 ტონა მარგანეცი მისცენ სახელმწიფოს. რაც შეეხება ქალაქის მშენებლობას, ამ ხუთწლედის ბოლომდე ჭიათურაში უნდა აიგოს: შრომის დიდების მუზეუმი, სპორტის სასახლე, სკოლები, საბავშვო ბაღები, კულტურის სახლი, მუსიკალური სკოლა, ბავშვთა საავადმყოფო, სასტუმრო, სავაჭრო ცენტრი, სათბური, ფერმა...

ამ სიყვარულმა ააგებინა შარშან ჭიათურელ მშენებლებს მსხვილი ობიექტების სამშენებლო მასალის მომჭირნეობის ხარჯზე, ხუთი სასოფლო ბიბლიოთეკა. ამ სიყვარულით და ასეთივე მომჭირნეობით იმედოვნებენ წლეულსაც ხუთი სასოფლო ბიბლიოთეკისა და ერთი კულტსახლის აშენებას.

ბუნების დაცვას — ამ უპირველეს, მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემას სათანადო ადგილი უჭირავს ჭიათურის მომავლის გეგმებშიც: გამწვანდება ეროზირებული ფერდობები, მოხდება მარგანეცის ღია წესით ამოღებისას დაზიანებული ნიადაგის აღდგენა—რეკულტივაცია. მეათე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სიცოცხლე დაუბრუნოს 500-მდე ჰექტარ მიწას. და აი, უკვე თვალს ახარებს 320 ჰექტარზე გაშლილი ახალნაგებობები და ბაღ-ვენახები, ლაღად აშოლტილი ალვები და მოშრიალე ყვავილნარი.

... გუშინდელ, დღევანდელ, ხვალინდელ ჭიათურაზე, მის დიდებულ გეგმებზე, მისი მომავლის მშენებელთა აღზრდის საკითხებზე უფრო დიდ საუბარს მიეძღვნა ქალაქის მოსახლეობისა და რედაქციის მუშაკთა შეხვედრა.

ამ საღამოზე იყო გარდასულ, ბობოქარ დღეთა მოგონება, რომელიც სათუთად შემოუნახავს ჭიათურას — ფარული კრებები, დისკუსიები, გაფიცვები... ისმოდა ამ მოძრაობის ხელმძღვანელების — რევოლუციისათვის მებრძოლების ძვირფასი სახელები: იოსებ სტალინი, საშა წულუკიძე, მიხეილ დავითაშვილი, ვალერიან ბაქრაძე, ნიკოლოზ ბრეგვაძე, ფაცია გალდავა, იუსტინე და იაკობ გამეზარდაშვილები, გალაქტიონ და ალექსანდრე ვაშაძეები, ვანო ინწკირველი, ვანო ლომთათიძე, ქრისტეფორე მელუა, კარპეზ მოდებაძე, გრიგოლ პარკაძე, დავით სულიაშვილი, მელიტონ ფილია, ვანო ყიასაშვილი და სხვები...

აქ იყო ფიქრი და სადღეისო ამოცანებისათვის ზრუნვა...

აქ იყო მომავალზე ოცნება და ჩვენ თითქოს ვხედავდით ჭიათურის დატერასებულ ფერდობებზე თეთრად მოქათქათე მრავალსართულიან სახლებს, ბაღებს, მოედნებს... და ყველა მიმართულებით გაფრენილ საჰაერო ბაგირგზებს, როგორც მკლავებს, რომელთაც უწვდის ქალაქი მუშისა და გლეხის მარჯვენით აყვავებულ, იმერეთის წარმტაც გორაკებზე შეფენილ სოფლებს.

**მ. ნავარძიელი**

# ქამასოკო

ალბათ ყველამ არც კი იცის, რომ ქამასოკოს (შამპინიონი) მოყვანას საქართველოში პირველად ჭიათურაში ჩაეყარა საფუძველი.

ქამასოკოს სამშობლო საფრანგეთია. ეს სოკო მდიდარია ვიტამინებით. ქამასოკოსაგან გემრიელი კერძები მზადდება. მისი სამრეწველო მიზნით მოყვანა ჩვენს ქვეყანაში პირველად მოსკოვის ზარეჩიეს საბჭოთა მეურნეობაში დაიწყეს. ქამასოკო ყოველგვარ პირობებში იზრდება, იტანს უმზეობას, ოღონდ აუცილებლად სჭირდება განიავება, ჰაერის მუდმივი ტემპერატურა და ტენიანობა.

ჭიათურის კალინინის სახელობის მაღაროს მარგანეცის გამონამუშევარ ველზე, სამი კილომეტრის სიღრმეში, საიდანაც ადრე მადანი გამოჰქონდათ, „საქსათბურის" ჭიათურის განყოფილების მუშაკთა ინიციატივით გაშენდა ქამასოკოს „პლანტაციები". მიწისქვეშა გვირაბში, 1.200 მეტრის სიგრძეზე მოეწყო ორსართულიანი სტელაჟები. თაბაშირით, სასუქით და ნამჯით დაფარულ სტელაჟებზე დაითესა ქამასოკოს სპორი. მომხმარებელმა სოკოს პირველი მოსავალი ახალი წლის წინა დღეებში მიიღო. სოკოს მოსავალს წელიწადში სამჯერ იღებენ.

სტალინის სახელობის მაღაროს გამონამუშევარი ველის სიღრმეში მალე ახალი სათბურები გაჩნდება. მაშინ სოკოს წარმოება წელიწადში 40-50 ტონამდე გაიზრდება.

მეურნეობას კარგი, მშრომელი კოლექტივი ჰყავს. ორმოცდახუთივე თანამშრომელი გატაცებულია ქამასოკოს მოყვანით. გულმოდგინედ შრომობენ აგრონომი ჯ. ხარშილაძე, მუშები დ. გონიავა, პ. კაციტაძე, ლაბორანტი მ. მგალობლიშვილი და სხვები.

**ნ. პირველი**

მშენებლების დაუდევრობასა და გულგრილობასაც ხშირად სახალხო საბჭოს მხრებზე გადაუვლია. მათი ჩარევით ახალ ბინებში ხელმეორედ რამდენჯერ დაგებულა იატაკი, გამოცვლილა კარ-ფანჯარა...

აქ სერიოზულად იმსჯელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ირგვლივ და ბრძოლა გამოუცხადეს ძველ მავნე წეს-ჩვეულებებს, — ტრადიციად დამკვიდრების საშიშროება რომ ელოდა. ახლა ქუჩებში აღარ იშლება სეფის ჭერ-ქვეშ პირისა და ლხინის სუფრები, აიკრძალა ფულის შეგროვებაც. ახლობელი მეზობლები, ვისაც ნამდვილად შესტკივა გული, ეხმარებიან იმ ოჯახს, რომელსაც უჭირს. სართულებზე, საშრობ ფართობებში აღარ იკვლება პირუტყვი და აღარ ვაჭრობენ ხორცით; მეთვალყურეობენ — უყაირათოდ არ დაიხარჯოს სასმელი წყალი; ფხიზლად არის მართლწესრიგის დაცვის საყრდენი პუნქტი (თავმჯდომარე ოთარ ფერაძე), რათა არ დაირღვეს წესრიგი. მანვე ჩვენს ქალაქში პირველმა შექმნა ნორჩი ძერჟინსკელების კლუბი.

არც ეს არის დასამალავი: 29-ე პოლიკლინიკის ბავშვთა ფილიალი, სივიწროვისა და შეუფერებელი პირობების გამო, ვერ ახერხებდა მოზარდთა ჯანმრთელობის საფუძვლიან გამოკვლევას. ქალთა საბჭოს მხარში ამოუდგა რაიონული საბჭოს დეპუტატი, ბავშვთა მესამე საავადმყოფოს მთავარი ექიმი ელისაბედ ჩუბინიშვილი. ენთუზისტმა ქალმა შეძლო შვიდი ათასი ბავშვის საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება და საჭიროებისამებრ ბავშვთა საავადმყოფოში მკურნალობის დანიშვნა.

მიკრორაიონებში რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთები, იმართება შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, ომის ვეტერანებთან, მრავალშვილიან დედებთან. სისტემატური, მკაცრი კონტროლია შენობებსა და ეზოებში სისუფთავესა და წესრიგზე. ეწყობა მასობრივი ღონისძიებები: „საიდან იწყება დანაშაული“, „სკოლა და ოჯახი“, „იცნობ თუ არ შენ შვილს“ და სხვა.

მრავალფეროვანია ქალთა საბჭოს სამუშაო გეგმა. მათ პირველებმა მოაწყეს ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა თვითშემოქმედებითი კონკურსები და გამარჯვებულთ გადასცეს ქალთა საბჭოს მიერ დაწესებული სიგელები, ფასიანი საჩუქრები. გლდანში, ქალთა საბჭოს თაოსნობით ჩამოყალიბდა ქართველი მოჭიდავის კულა გლდანელის სახელობის მოჭიდავეთა კლუბი, რომელსაც სათავეში ბადრი ესაკია ჩაუდგა; საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ბიბლიოთეკა. დოდო ზურაბიშვილმა გულუხვად გაიღო საკუთარი წიგნები, თაროებისთვისაც თვითონ იზრუნა.. დიდი იყო სიხარული, როცა მეხუთე სახლმმართველობასთან, 21- კორპუსში გაიხსნა ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი ახლა ხუთიათასია.

ფეხით რამდენჯერ შემოუვლიათ ქალთა საბჭოს წევრებს გლდანის ტერიტორიაზე



არსებული ყველა საწარმო-დაწესებულება, სავაჭრო თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი. მათი ხელმძღვანელები და მუშაკები კარგად იცნობენ ქალთა საბჭოს წევრებს, რომლებიც ხშირად აწყობენ რეიდებს, სანიტარული მდგომარეობის შესამოწმებლად. ბევრ მათგანს ქალთა საბჭოს სიგელი აქვს მიღებული სანიმუშო სისუფთავისა და წესრიგისათვის, ბევრს მკაცრი შენიშვნა და გაფრთხილება მიეცა.

სამაგალითოა გლდანის ქალთა საბჭოს მუშაობა. მათ თავიდანვე კარგად მოჰკიდეს საქმეს ხელი. განსაკუთრებით ზრუნავენ მოზარდთა სწავლა-აღზრდისათვის, აწყობენ მშრომელთა კითხვა-პასუხის საღამოებს, საუბრებს ხელოვნების, ესთეტიკის საკითხებზე. ბევრი ოჯახის სადავო საკითხი დ. ზურაბიშვილმა თვითონ მოაგვარა. ის ძალასა და ენერგიას არ იშურებს სიხარული აჩუქოს ადამიანებს, სხვათა სიკეთისათვის ზრუნავს, — შენიშნავს მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი, რაიონული ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ეთერ ლელაშვილი.

ერთად მუშაობით გავიგეთ თითოეულის მისწრაფება, უნარი; სახალხო საბჭოს აქტივში მომავალშიც შევიყვანთ იმათ, ვისაც საქვეყნო საქმისათვის გული შესტკივა, — ამბობს რ. გურგენიძე.

მათი თაოსნობით საზოგადოებრივ საწყისებზე სახალხო საბჭოს კომიტეტის შენობაში შეიქმნა მუსიკალური სტუდია, ვოკალურ-ინსტრუმენტული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, რომელსაც პენსიონერი გ. კოპლატაძე და ი. დოლიძე ხელმძღვანელობენ.

სახალხო და ქალთა საბჭოს მხარს უჭერს მოსახლეობა. იციან, მათი კეთილდღეობისათვის ზრუნავენ. დიდი დრო, ენერგია იხარჯება, ერთი შეხედვით, წვრილმანებზე. იოლი როდია თითოეული ღონისძიება თვალსაჩინო, ესთეტიკური და სახალხო გახადო. ისინი ამას ახერხებენ.

ამასწინათ, ზაფხულის ერთ დღეს გლდანში ერთ ახალ წამოწყებას — „გლდანობას“ ჩაეყარა საფუძველი. საზეიმო ელფერი ედო იქაურობას. დააკრიალეს ყოველი კუთხეკუნჭული. გამოფინეს ტრანსპარანტები. დილიდან ღამემდე არ შეწყვეტილა სიმღერა, ცეკვა-თამაში, ღია ცის ქვეშ გაიმართა სპორტული შეჯიბრი, კონცერტი კარნავალი, მოეწყო კულინარიის კონკურსი-გამოფენა, რომელშიც გაიმარჯვა და პირველი ხარისხის სიგელი გადაეცა ექიმ ნაბინა ფერაძეს. კონკურსებსა და სპორტულ ასპარეზობებში გამარჯვებულნი ქალთა საბჭოს სიგელებით დაჯილდოვდნენ. ქალთა საბჭოს შეფმა, გლდანის საწარმოო კომბინატის (დირექტორი ზ. უგრეხელიძე, მთავარი ინჟინერი თინა ცაბუტაშვილი) ხელმძღვანელობამ ფასიანი საჩუქრები გაიღო დღესასწაულისათვის.

რომელ ახალ უბანში უზეიმიათ დამკვიდრების თარიღი? გლდანელებმა კი საყოველთაო-სახალხო ზეიმით აღნიშნეს აქ დაფუძნების მეხუთე წლისთავი და იგი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს მიუძღვნეს. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია კორპუსები, მიკრორაიონები...

მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია...

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ: სამართლიანია გლდანის (და სხვა ე. წ. მასივების), თემქელთა და სხვათა გულისტკივილი. იქნებ გვეფიქრა, დასახლების, მასივების ნაცვლად ორიგინალური, ქართული სახელები შეგვერჩია მათი საცხოვრებელი ადგილებისათვის, (ხომ მივაჩვიეთ ყური ვაკე-საბურთალოს მსგავსად ვარკეთილს)... სხვა თუ არაფერი, ეს მათ გუნება-განწყობასაც უკეთესს გახდიდა.

დაგვეთანხმებიან გლდანელები: მათ კარგა ხანია სჭირდებათ კულტურის სახლი. მაშინ ფართოდ გაიშლება ქალთა საბჭოს მუშაობა, ჩამოყალიბდება დიასახლისებისათვის ჭრა-კერვისა და კულინარიის, თვითშემოქმედებითი წრეები: გაიხსნება ქალთა სალონი, მშობელთა სახალხო უნივერსიტეტი, მოეწყობა გართობა-დასვენების საღამოები; აქაც გაიხსნება ახალი, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ბიბლიოთეკა. ერთი სიტყვით, იგი კულტურის ცენტრად იქცევა მთელს გლდანში. ახლა კი... ქალთა საბჭოს, სამუშაო ოთახი კი არა, კუთხეც არ გააჩნია.

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია გლდანში სახალხოდ განიხილეს. უფრო ნათლად გამოიკვეთა თითოეული მოქალაქის, ქალის, დედის, დიასახლისის მოვალეობა მამულისა და ხალხის წინაშე. ქალთა საბჭოს კი მუშაობის ნათელი პერსპექტივები დაუსახა, ძალა, ენერგია და ხალისი შემატა, საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნა მოსკოვში გამართული საერთაშორისო შეხვედრის „ქალი და სოციალიზმის“ მონაწილეებისადმი ლ. ი. ბრეჟნევის მისალმების შინაარსმა.

ნათელა ქიმერიძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა





# მკურნალი

ამქვეყნად ბევრი კარგი მკურნალი მოღვაწეობს, ბევრი ღირსეული ადამიანი ამშვენებს ქვეყანას, მაგრამ ხალხის ისეთი პატივისცემა და სიყვარული ბევრს არ ხვდომია წილად, როგორიც ნინო ჩოხელს. და იცით, რატომ?

იმიტომ, რომ ბევრჯერ მისი—ექიმის სახელი და სიცოცხლე, ღირსება და ბედნიერება ნამდვილად ბედის სასწორზე იდო, მაგრამ განსაცდელში მყოფი არ დაბნეულა, სულით არ დაცემულა, ვაჟკაცურად გადაულახავს ყველა დაბრკოლება და სიკვდილთან ბრძოლაში გაუმარჯვია.

...სოფელ გვიდაქეში მწყემსი სანდრო ბუჩუკური მძიმედ დაიჭრა. ადგილიდან მისი დაძვრა არ შეიძლებოდა, გამოუძახეს ფასანაურის საავადმყოფოს მთავარ ექიმს ნინო ჩოხელს. მან თან წაიყვანა ექიმის თანაშემწე ბაბო თუჯიშვილი. დილიდან გადაუღებლად წვიმდა, არაგვში გასვლა შეუძლებელი იყო, მძღოლმა ველთაურმა გაბედა და ავტომანქანა გაგიჟებულ არაგვში შეაგდო. დრო არ ითმენდა. ღამის ათ საათზე როგორც იქნა მიაღწიეს გვიდაქეს. ნინომ გულდასმით გასინჯა ავადმყოფი, სასწრაფოდ იღონა ყველაფერი. მთელი ღამე თეთრად გაათენა ავადმყოფის სარეცელთან. მეოთხე დღეს სანდრო გონს მოვიდა...

მასწავლებელი ნ. ფირანიშვილი.

პატივცემულო ნინო ექიმო! მე არ შემიძლია ისეთი პატივი გცეთ, როგორის ღირსიც თქვენ ბრძანდებით. თქვენ დიდ მზრუნველობას იჩენთ, ჩვენ კი ვერ შევძელით თქვენი პატივისცემის გადახდა. ორი მოხუცი ვართ ოჯახში და ვერაფერს ვაკეთებთ. ვითომ თქვენი მშობლები ვყოფილვართ, გვაპატიეთ, მე თქვენი საავადმყოფო ჩემ საკუთარ სახლად მიმაჩნია, სხვაგან წასვლა არ მინდა. თქვენ და თქვენი ყველა ექთანი შვილებივით მწამხართ, სხვებზე ვერ გაგცვლით, თქვენ რომ შხამი დამალევინოთ და სხვებმა უკვდავების წამალი, მაინც თქვენთან მირჩევნია. ასე, ჩემო შვილობილო ექიმო. ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ, მაგრამ რა ვქნა, თქვენ ჩემი შვილიც ხართ და ღმერთიც.

კოლმეურნე გიორგი გულაშვილი.

— გთხოვთ მხურვალე მადლობა გადასცეთ ფასანაურის საავადმყოფოს მედპერსონალს და პირადად ნინო ექიმს მთაში მომხდარი უბედური შემთხვევის დროს სამედიცინო დახმარებისა და გულისხმიერებისათვის.

ლენინგრადელი ინჟინრები ე. და გ. შევჩენკოები.

როცა ნინო ექიმის შრომას ვაკვირდები მაგონდება წაკითხული: ერთხელ ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვთან ახალგაზრდა ფუქსავატი კაცი მივიდა და უთხრა: — ანტონ პავლეს-ძევ! თქვენ ხომ ადამიანის სულის დიდი მესაიდუმლე ბრძანდებით, მირჩიეთ გეთაყვა, სად ვისწავლო, იქნებ სამედიცინოზე შესვლა სჯობდეს.

— ექიმის პროფესია და, საერთოდ, მედიცინა — უპასუხა დიდმა მწერალმა, — გმირობაა. იგი თავდადებას, სულისა და აზრის სიწმინდეს მოითხოვს. ყველას როდი აქვს ამის უნარი. ისეთებს, როგორიც თქვენ ბრძანდებით, მედიცინაში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ...

ამ დღეებში გავეცანი საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის გ. პონდოევის წიგნს „ექიმის ჩანაწერებს“ და, რატომღაც, თვალწინ ნინო ჩოხელი დამიდგა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი რომ დაამთავრა, ყველა პირობა ჰქონდა დედაქალაქში დარჩენილიყო (მისი მეუღლე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტია), მაგრამ მთიელმა ქალმა გადაწყვიტა ცოდნა თავისი მშობლიური კუთხისათვის მოეხმარებია.

პედაგოგი ვ. ჩოკური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან მიხარია, რომ ფასანაურში მშვენიერი ექიმი ნინო ჩოხელი მუშაობს. მიხარია, რომ მისმა სახემ მკითხველს მოაგონა ჩემი „ექიმის ჩანაწერები“.

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი გ. პონდოევი.

— ვეშაგურებში ერთ ქალს მძიმე მდგომარეობა შეექმნა. ადრე გაზაფხული იყო, მდინარე მოდიდებული გახლდათ, ავტომანქანა წყალში ჩაგვივარდა, ძრავა ჩაქრა. რაღა იქნებოდა, მდინარე ფეხით გადავლახეთ, მაგრამ სიბნელეში ხრამში ჩავცვივდით, ორივე მუხლიდან სისხლი მდიოდა. გზა მაინც განვაგრძეთ, ღამის სამ საათზე მივედით ვეშაგურებში და ქალი სიკვდილისაგან ვიხსენით. არავითარ ტკივილს აღარ ვგრძნობდი, რადგან ავადმყოფი კარგად დავტოვეთ.

ნინო ჩოხელის დღიურიდან.

ნინოს მამა ივანე ჩოხელი დიდხანს თავკაცობდა ჩოხის კოლმეურნეობას. იგი ლენინის ორდენის პირველი კავალერი გახლდათ მთიულეთ-გუდამაყარში. მისი დედაც — მარიამი — გარიყრაყიდან დაღამებამდე ფეხზე ტრიალებდა. მშობლებს ერთადერთი შვილი ჰყავდათ, მაგრამ მაინც სპარტანულად ზრდიდნენ. მაშინ ჩოხში სკოლა არ იყო და თითისტოლა ბავშვები სამი-ოთხი კილომეტრის მანძილზე, სოფელ დუმაცხოში დადიოდნენ. ბურსაჭირის ხევზე არაგვი ბობოქრობდა. ხიდის მოვალეობას ორი წაქცეული ხე ასრულებდა. ბავშვები ხშირად წყალში ცვიოდნენ, მაგრამ თოვლყინვაში მაინც გზას განაგრძობდნენ. გაკვეთილების შემდეგ ნინო ვალდებული იყო სადილ-ვახშამი მოემზადებინა, წყალი მოეტანა, შეშა დაეჩეხა, ცეცხლი დაენთო და მხოლოდ ამის შემდეგ ესწავლა გაკვეთილები.

მეხუთე კლასიდან ფასანაურში სწავლობდა. იქიდან ჩოხამდე ათიოდე კილომეტრზე მეტია, მაგრამ ყოველ კვირას მაინც მშობლებთან იყო, ბევრ ვაჟკაცს უტოლდებოდა ცხვრის პარსვა-წველაში. თუ ცხვარი პარსვის დროს დაიჭრებოდა, მისი მკურნალი პატარა ნინო იყო.

გავიდა წლები, გუდამაყრელი გოგონა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მივიდა. მაშინდელმა რექტორმა კონსტანტინე ერისთავმა ნინოს უთხრა: — ჩოხელო, სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაგრიცხეთ და აბა შენ იცი, როგორ გვასახელებო.

ნინო ჩოხელი, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტია, გაბედული, ღრმად იდეური და პრინციპული. პატიოსნების მცნება მას ასე ესმის — არ კმარა მარტო პატიოსანი იყო, პასუხს აგებდე მხოლოდ შენს თავზე და ათასნაირ ბოროტებას კი პირში წყალდაგუბებული უყურებდე. ნინოს არ შეეძლო აუღელვებლად ეცქირა როგორ ინგრეოდა საუბნო საავადმყოფოს შენობა. მას — ფასანაურის სადაბო საბჭოს დეპუტატსა და პარტიის დუშეთის რაიკომის წევრს, ბევრჯერ დაუსვამს საავადმყოფოს აშენების საკითხი, მაგრამ ამაოდ. სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის პირობებში, როცა ათასნაირი ბოროტება ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ასეთი გულგრილობა უცხო ამბავი როდი გახლდათ.

ერთმა ცნობილმა პროფესორმა ფასანაურის საავადმყოფოში ახალშობილი ბავშვების ნახვა მოისურვა. სამშობიარო ოთახში რომ შეიხედა, ერთიანად გაწითლდა და თქვა — აქ მშობიარობა ქალის უხეში შეურაცხყოფააო.

1964 წელს ფასანაურს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ეწვია. მას მოეწონა მედპერსონალის მუშაობა, დაეხმარა მათ, ახალი სამედიცინო დანადგარები შეაძენინა, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიუთითა, საჭიროა დაჩქარდეს საავადმყოფოს კაპიტალური რემონტიო.

მაგრამ მთელ ათ წელს არც რემონტი მოხერხდა.

საქმეში ბევრჯერ ჩაერივნენ პარტიის დუშეთის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი, მაგრამ არავინ არაფერი შეისმინა, წინასაარჩევნო კრებაზე დეპუტატობის კანდიდატსაც მიმართეს თხოვნით, არც ამას მოჰყოლია რაიმე შედეგი.

არა და, შენობა საცაა თავზე ჩამოენგრეოდათ ავადმყოფებს.

ნინომ გადაწყვიტა დედაქალაქში წასულიყვნენ და იქ მოეხსენებინათ მთიელთა გასაჭირი. შედგა პატარა დელეგაცია, რომელშიც შევიდნენ: ცნობილი მწყემსი მეცხვარე, სოციალისტური შრომის გმირი ყარამან გაგაძე (ახალი ნაოპერაციევი იყო, ჯერ კიდევ უჭირდა სიარული, მაგრამ არ დაიზარა), პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, მეცხვარეობის ფერმის გამგე გიორგი მოთიაშვილი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ომარ კედელაშვილი (გიორგის, ომარს და ყარამანს ცხვარი სოფლის მახლობლად ჰყავდათ დაბანაკებული, რამდენიმე დღეში საყიზლაროდ უნდა დაძრულიყვნენ) და თვითონ ნინო ჩოხელი. მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე.

ნინო მაინც არ ისვენებდა, ვერ შერიგებოდა იმას, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე რესტორნები და სასაუზმეები უხვად შენდებოდა, საავადმყოფოს დამპალი შენობა კი არავის აღელვებდა. იგი კვლავ წერდა წერილებს. მრავალ „ჩინოვნიკს“ მოუწამლა სისხლი, მრავალჯერ ხვდა წილად მათი ღვარძლიანი ლანძღვა-საყვედური. თითქოს მთელ ქვეყანას შეეკრა პირი, სასიკეთო მაინც არაფერი ჩანდა.

სხვა უიმედოდ ჩაიქნევდა ხელს და სანერვიულო საქმესა და ყოველდღიურ გაწამაწიას მოეშვებოდა, მაგრამ არა, ნინო ასე არ მოქცეულა. ათი წლის მანძილზე საავადმყოფოს საქმეზე მოსიარულემ, იმდენი გულისტკივილი, უსამართლობა და უგულგულობა ნახა, რომ გახსენებაც კი შეზარავს კაცს. ექიმი ქალი მაინც არ კარგავდა რწმენას, „ნეტარ არიან მორწმუნენი!“

მერე ახალმა სიომ კი არა, მძლავრმა ქარიშხალმა დაუბერა. რესპუბლიკაში შეურიგებელი ბრძოლა გამოეცხადა ყოველგვარ დრომოჭმულსა და მანკიერს.

ახლა უკვე აღარ შეიძლებოდა სიმართლეს არ გაემარჯვნა.

და, ერთ მშვენიერ დღეს ნინოს სთხოვეს მედმუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე სიტყვა წარმოეთქვა.

ექიმი ნინო ჩოხელი რომ თავის სიტყვას ამბობდა, მრავალათასიან დარბაზში ბევრჯერ გაისმა ტაში, ლაპარაკობდა გულწრფელად, გულღიად, ყველას გადასდო თავისი განწყობილება. აღარ ახსოვს, როგორ ჩამოვიდა ტრიბუნიდან. დარბაზში კვლავ ტაში ისმოდა.

როცა თათბირი მუშაობას აჯამებდა, რესპუბლიკის ხელმძღვანელმა თავისი მკაფიო, დარბაისლური სიტყვა ასე დაიწყო: — ამხანაგებო! თქვენი დიდი ტაში, დიდი ოვაცია მე იმის ნიშნად ჩავთვალე, რომ დიდად მოგეწონათ ამხანაგ ჩოხელის გამოსვლა. დარწმუნებული იყავით, ჩვენ მხარს დავუჭერთ მის წინადადებებს...

ნინოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თათბირმა მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. შვილები დედას ვეღარ ცნობდნენ: თვალებში მზის შუქი ჩასდგომოდა. მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ ნინო ჩოხელი ოთხი შვილის დედაა. უფროსი ვაჟი ვანო კობაიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრიადოსანი სტუდენტია, მომდევნო დები — ქეთინო და ეთერი შარშან სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხეს და ორივენი ფრიადოსნები არიან. არც უმცროსი კობა ჩამორჩება თავის ძმასა და დებს, ისიც ფასანაურის საშუალო სკოლის ფრიადოსანია.

თათბირის შემდეგ ორი წელიწადი გავიდა. ფასანაურში, მდინარე არაგვის ნაპირას, გულს ახარებს საუბნო საავადმყოფოს ახალი ორსართულიანი შენობა, (მშენებლობა ერთ წელიწადში დამთავრდა). შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფასანაურელთა „სამედიცინო ქალაქი“ ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ რესპუბლიკაში. როცა თანამედროვე ტიპის ქათქათა შენობას ვუცქერი, მჯერა, რომ მის კედლებში რაიონის ხელმძღვანელთა და მშენებელთა დიდ გარჯასთან ერთად ნინო ჩოხელის გულის ნაწილიც არის ჩაქსოვილი.

სანამ ამ წერილს წერტილს დავუსვამ, მინდა ვთქვა: — მტერსა და ავს — თუ ოდესმე ავად გავხდი, წავალ და ფასანაურის საუბნო საავადმყოფოში დავწვები.

ა. თოგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა





# გაზაფხულის ჭაღარა

რაიონული გაზეთის რედაქციაში მაღალმთიანი სოფლიდან ზოტიდან წერილი მივიღეთ. ჩვენი კორესპონდენტი გვწერდა:

ჭაღალიძეების ოჯახში შვილს ელოდნენ. ბავშვი დაიბადა, მაგრამ საფრთხეში იყო დედის სიცოცხლე. ერთი-ორი საათი და სიხარული მწუხარებით შეიცვლებოდა. დაუყოვნებლივ ჩვენთან გაჩნდნენ სამშობიარო სახლის ექიმები ნათელა ცინცაძე და ტატიანა კალანდაძე...

ტ ა ტ ი ა ნ ა  კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე!

სწორედ ამ 80 წელს მიღწეული ქალის ამოუწურავმა ენერგიამ, დიდმა ადამიანურმა თვისებებმა დამაწერინა ეს წერილი.

ზოტში მსუბუქი ავტომანქანით ასვლა რა სახსენებელია, თქვენ ის უნდა გენახათ, ქალბატონი ტატიანა თავის ბედაურს რომ გააჭენებდა ხან სურებისკენ, ხან ქვაბლაში, ხან ზომლეთში და ხანაც ერკეთში... რამდენი გულითადი სალამი, რამდენი მადლიერი წყვილი თვალი მიაცილებს გზად მიმავალს...

მშობლიური ხიდისთავი, ხელმოკლე, უმამო ოჯახი. პატარა ტატიანა ჯერ ასკანში ბაბუასთან იზრდებოდა, შემდეგ კი — დაბლაციხეში, ცნობილი მეცნიერის ნიკო მარის ოჯახში. აქ დაამთავრა ორკლასიანი სასწავლებელი. შრომა ბაბუას დამ ნიკო მარის დედამ — ალათიმ შეაყვარა, სწავლის წყურვილი კი ქალბატონმა საშამ — შესანიშნავმა მკურნალმა, ნიკო მარის მეუღლემ გაუღვივა.

ჩოხატაურის პირველი ოთხკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ტატიანა თბილისში გაგზავნეს.

პირველად მგზავრობდა ასე შორს, თანაც მარტო. საჯავახოში ეტლით ჩავიდა. პირველად ნახა მატარებელი. „მთელი ღამე სარკმელთან ვიჯექი და ვფიქრობდი, როდის გამოჩნდებოდა თბილისი“.

ოლღას სახელობის საბებიო ინსტიტუტში ჩარიცხეს, „ნიკო მარი ყოველთვეში 25 მანეთს მიგზავნიდა. ფულს და ამანათებს შორეული აღმოსავლეთიდან, ხარბინიდან მაწვდენდა ბიძაჩემი“.

ორწლიანი სასწავლებელი რომ დაამთავრა, ჩოხატაურის საუბნო საავადმყოფოში დაიწყო ბებიაქალთან მუშაობა.

„მეგონა ყველაფერს გამომკითხავდნენ. ჩემი გაოცება ნაადრევი გამოდგა. იმ დღესვე ერკეთში გამომიძახეს. ავადმყოფს მძიმე, პათოლოგიური მშობიარობა ჰქონდა. პირველი გამოცდა ბრწყინვალედ ჩავაბარე“. მეორედ სურებში მოუხდა ცხენით წასვლა. ექვსი ბებიაქალი დასეოდა მშობიარეს. გზა 20 წლის ქალიშვილს დაუთმეს. ისევ გამარჯვება...

კვლავ თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. ამჯერად ცოდნის შეძენის გზას სიყვარული უნათებდა. ამორჩეული ყმაწვილი კაცი, შემდგომ რაიონის საუკეთესო პროვიზორი, რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ილია ძნელაძეც უნივერსიტეტში სწავლობდა.

ტატიანა სხვადასხვა დროს, მუშაობდა სამალარიო სადგურის გამგედ და ლაბორანტად, სამეანო გინეკოლოგიური განყოფილების გამგედ, სამშობიარო სახლის მთავარ ექიმად.

ალბათ სტატისტიკასაც გაუჭირდება ქალბატონი ტატიანას „აყვანილი“ ქალ-ვაჟის რაოდენობის დადგენა.

— არასოდეს დამავიწყდება, ომის გამოცხადების დღეს ქუჩაში ერთი რიგიანი ყმაწვილი შემხვდა და მითხრა, ომში მივდივარ, თქვენი ნაჩუქარი სიცოცხლე თუ არ დავკარგეო.

კეთილი, შუქიანი თვალები სათნოებას მატებს თმადათოვლილ ქალს. შარშან პარტიისა და მთავრობის მაღალმა ჯილდომ — ლენინის ორდენმა დაუმშვენა მკერდი ამაგდარ მკურნალს. ეს ჯილდო 58 წლის უანგარო შრომის, თავდადების, სიკეთის საწყაულია.

80 წელი სოლიდური ასაკია. ქალბატონი ტატიანა კი მხნედ გამოიყურება. სათვალესაც კი არ იკეთებს.

ერთ საღამოს სახლში ვეწვიე. მწვანე ხასხასა მოლით მოფენილ ეზოში ძველებური სახლი დგას. მასპინძელმა სქელტანიანი წიგნი მონიშნა, იქვე, სავარძელში ჩადო და გამომეგება.

დიდხანს ვისაუბრეთ. აივანზე ბიჭები თამაშობდნენ. რადიოში ქართული სიმღერები ჟღერდა.

— ბებია, ბებია, შენი სიმღერაა, შემოვარდა ოთახში პატარა ბიჭი.

კარლო კალაძისა და ალექსანდრე ბუკიას „ჭაღარას“ მღეროდნენ ტკბილად.

ბებია ნასიამოვნები დარჩა, — ხომ მოგწონთ, ეს ჩემი საყვარელი სიმღერაა. როცა მას ვისმენ, ვმაღლდები, ვახალგაზრდავდები, ვლაღდები.

უმცროსი ვაჟიშვილის, ზურაბის მეუღლე დოდო რაიონის მუსიკალური სკოლის დირექტორია და ტატიანას ხშირად უსწორებს ხასიათს...

— დედის დაკვეთებს სიამოვნებით ვღებულობ, თქვა დოდომ. ბეთხოვენის „მთვარის სონატა“ და ბახის, შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები უყვარს.

ბინდდებოდა, გამომშვიდობებისას დოდომ მითხრა ოქტომბერში დედას 80 წლის აღსანიშნავ საღამოზე ჩვენი სტუმარი იქნებითო.

.. შუაღამისას ტელეფონის ზარი აწკრიალდება — ექიმო, მშობიარე მოიყვანეს!

— მოვდივარ!

და იბადებიან ქალები, ვაჟები, ხარობს ექიმი.

თავადაც ოთხი დარჩეული ვაჟკაცი აღზარდა. მხოლოდ უფროსმა — ჯონდომ არ უღალატა მედიკოსთა ოჯახის ტრადიციას— იგი ქირურგია. ძმები რამაზ, დევი და ზურაბი კი ინჟინრები არიან.

ათი თვალხატულა გოგო-ბიჭი ახარებს სახელოვან ბებიას.

„ამ ჩემს ჭაღარას გაზაფხულის ჭაღარა
ჰქვია,
ჩემს ღიმილს, დაღლილს, გაზაფხულმა
შემოაფრქვია“.

სულ სხვა ჟღერადობა, სხვა შინაარსი მიეცა ახლა ამ სტრიქონებს ჩემთვის.

კვლავაც იწკრიალოს ტელეფონის ზარმა, კვლავაც შეჰხაროდეთ ახალშობილის პირველ ატირებას, კვლავ ასე დიდებულად ჟღერდეს თქვენს ოჯახში „მთვარის სონატა“ ქალბატონო, ტატიანა!

**იათამზე ანთაძე**

# მოკრძალებული წვლილი



ადვილი როდია ხალხის ნდობისა და პატივისცემის დამსახურება. თინა ასათიანმა-კაკაბაძემ კი თავის ცხოვრებას ისეთი მიმართულება მისცა, რომ ყოველი მისი საქმიანობა ხალხისადმი სამსახურს დაუკავშირა.

როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, ყველას ეგონა ახალგაზრდა სპეციალისტი გამომძიებლის საინტერესო პროფესიას აირჩევდა, ან მოსამართლის „მანტიით შეიმოსებოდა“, მაგრამ მოხდა ისე, რომ მან შრომითი საქმიანობა საარქივო დოკუმენტების შესწავლასა და შეგროვებას მიანდომა.

არქივის გამგის თანამდებობით დაიწყო მუშაობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, შემდეგ ქვანახშირის შახტების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის არქივის გამგედ დანიშნეს, სადაც თვრამეტი წელიწადია დაუღალავად მუშაობს.

„საქგიპროშახტის“ არქივში თავმოყრილია ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო ქალაქების მშენებლობების პროექტები. თინა ასათიანი-კაკაბაძე ყველა დოკუმენტს სათუთად, ფაქიზად უვლის. მისი გამრჯე ხელი ყველა წვრილმანს წვდება; პროექტები, ელექტროგაყვანილობების, საცხოვრებელი სახლების დოკუმენტური თუ ფოტომასალების კატალოგები თვალსაჩინო ადგილზეა, და კარგად არის დაცული.

„საქგიპროშახტის“ ინსტიტუტმა ბინა გამოიცვალა; ახლა ბევრად უკეთესად, ხალვათად განლაგდა საარქივო მასალები.

— თუ შეიძლება სიღნაღის ზედა სადგურის საბაგირო გზის ტექნოლოგიური ნაწილის პროექტი მომცეთ? — ეუბნება ახალგაზრდა ინჟინერი თინა ასათიანს, ეტყობა პირველადაა არქივში. გამგე დაუზარებლად აწვდის საჭირო მასალებს, იწყება მეგობრული საუბარი და საოცრებაა, როგორ ახსოვს ამ ქალს ასე დაწვრილებით, რომელ წელს რომელი სახლი აშენდა, სად რომელი გზა გაიყვანეს, რით არის საინტერესო ესა თუ ის ნაგებობა.

თავის სამსახურს თინა ასათიანი კარგად უთავსებს საზოგადოებრივ საქმიანობას. წლების მანძილზე იგი იყო „საქსახშახტპროექტის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ამავე დროს თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს მსაჯული.

მისთვის საინტერესო და საყვარელი საქმე ქალთა ინტერესების დაცვაა. თვრამეტი წელიწადია ის საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეა. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საინტერესო ღონისძიებები ეწყობა ქალთა და ბავშვთა პირობების გაუმჯობესებისათვის.

როდესაც თინა ტყიბულის შახტებს ეწვია, მან ნახა, რომ რამდენიმე მრავალშვილიანი ქალი ღამის ცვლაში მუშაობდა. მისი ჩარევით ქალები დღის სამუშაოზე გადაიყვანეს...

თინა ასათიანი ჩვენი თანამედროვეა თავისი შემართებით, საქმიანობით და ამით მოკრძალებული წვლილი შეაქვს სახალხო საქმეში.

**ნუნუ ჩიხრაძე**

# მეგობრის მახსენება



მოულოდნელად გამოაკლდა ჩვენს რიგებს შესანიშნავი მოქალაქე და პედაგოგი ნინო (ნუნუ) კონსტანტინეს ასული გოგოლაშვილი.

ნინო გოგოლაშვილი დაიბადა 1922 წელს, ძველი რევოლუციონერების ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1939 წელს, იგი შევიდა მოსკოვის უცხო ენათა II სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1944 წელს ნინო გოგოლაშვილმა სწავლა განაგრძო წითელი არმიის უცხო ენათა სამხედრო ინსტიტუტში, ხოლო 1945 წელს იგი სამუშაოდ გააგზავნეს საზღვარგარეთ, სამხედრო თარჯიმნის თანამდებობაზე. 1947 წლიდან ის მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, 1949 წელს გადავიდა თადარიგში „ადმინისტრაციული სამსახურის ლეიტენანტის“ წოდებით. 1951 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ნინო გოგოლაშვილი მუშაობდა ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრის უფროს მასწავლებლად.

დიდი დამსახურება მიუძღვის ნინო გოგოლაშვილს თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საღამოს ფაკულტეტის სასწავლო-აღმზრდელობით და საორგანიზაციო საქმიანობაში.

1963 წლიდან ის ხელმძღვანელობდა ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული ენების გაერთიანებულ კათედრას. შემდეგ, ინგლისური ენის კათედრის გამოყოფასთან დაკავშირებით ნინო აირჩიეს ინგლისური ენის კათედრის გამგედ. მისი უნარიანი ხელმძღვანელობით საღამოს განყოფილების ინგლისური ენის კათედრა ისე წამოიწია, რომ ინსტიტუტის ერთერთ წამყვან, მოწინავე კათედრად იქცა.

ნინოს ყველა იცნობდა, როგორც საუკეთესო ხელმძღვანელს და შესანიშნავ მასწავლებელს. მისი სტუდენტი — ეს იყო ყველაზე მაღალი ეპითეტი სტუდენტი ახალგაზრდობისათვის და ეს შემთხვევითი როდი იყო. ნინო გოგოლაშვილი გახლდათ მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგი, საუცხოო მცოდნე ინგლისური, გერმანული, ქართული და რუსული ენებისა, საოცრად მომთხოვნი როგორც სტუდენტებთან, ასევე საკუთარი თავისადმი. ენთუზიასტი პედაგოგი დაუცხრომლად უნერგავდა ახალგაზრდობას უცხო ენებისა და ლიტერატურის სიყვარულს. კარგი პედაგოგებისა და საუკეთესო მოქალაქეთა მრავალი თაობა გამოზარდა ნინომ, დღეს მის აღზრდილთაგან ბევრი უცხო ენათა ინსტიტუტის მოწინავე პედაგოგია.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის ნინო გოგოლაშვილი დაჯილდოებული იყო მედლებითა და სიგელებით.

**თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრა.**

# კულინარია

## ისევ ბოსტნეულის კერძები

### კომბოსტო ბოსტნეულით

ახალი ფაშარი კომბოსტოს თავი (500 გრამი) დაფურცლეთ, გარეცხეთ, მოათავსეთ მდუღარე მარილწყალში და გააჩერეთ შიგ წყლის შეგრილებამდე. შემდეგ კომბოსტო ამოიღეთ წყლიდან, გადაიტანეთ თუშფალანგში, რომ წყლისაგან დაიწრიტოს. თითოეული ფოთოლი ხელით ფრთხილად გაწურეთ, დაალაგეთ სუფთა ფიცარზე და სათითაოდ ზერელედ დაბეგვეთ.

დაჭერით თხელ რგოლებად 4 ცალი სტაფილო, წვრილად 3 თავი ხახვი, პატარა ნაჭრებად თესლგამოცლილი, დამდუღრული ბულგარული წიწაკა (ორი ცალი). ყოველივე ეს მოშუშეთ მცენარეულ ზეთში. შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან და შეაგრილეთ. დაუმატეთ ერთად დანაყილი ნიორი, ქინძი, მარილი, უმი ტყემლის წვენი (შეგიძლიათ იხმაროთ ბროწეულის წვენი, მჟავე პამიდვრის წვენი ან ღვინის ძმარი, ძალიან წვრილად დაჭრილი მწვანილი — ქინძი, ოხრახუში, კამა, რეჰანი, ნიახური, ქონდარი) და კარგად აურიეთ ერთმანეთში. კომბოსტოს თითოეულ ფოთოლზე მოათავსეთ გამზადებული მასალა, დაახვიეთ ისე, რომ თითოეულმა მიიღოს პატარა ლილვაკის სახე, დააწყვეთ შესაფერ ჭურჭელზე, ზემოდან მოასხით ანადუღი და შემდეგ შეგრილებული მცენარეული ზეთი და მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა.

### კომბოსტო მაწვნით

გასუფთავებული, გარეცხილი კომბოსტოს თავი (600 გრამი) გაჭერით ოთხად, მოათავსეთ მდუღარე მარილწყალში და კარგად გათუთქეთ. შემდეგ გაწურეთ, დაჭერით, დადეთ კარაქიან (50 გრამი) ცხელ ტაფაზე, უყავით მარილი და მოშუშეთ. მოშუშვის დროს მოაყარეთ დანაყილი ორცხობილა, დაუმატეთ 50 გრამი კარაქი, აურიეთ და შუშეთ, სანამ მზად არ იქნება.

გაწურულ 200 გრამ მაწონს დაუმატეთ კარგად დანაყილი ნიორი და აურიეთ, მზა კომბოსტო მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელში და ზემოდან მოასხით შეზავებული მაწონი. თუ გსურთ შეგიძლიათ მაწვნის მაგიერ იხმაროთ არაჟანი (უნივროდ) ან მაიონეზი.

### ბადრიჯანი მწვანილით

მომცრო ზომის 6-8 ცალი ბადრიჯანი გარეცხეთ კანიანად, თითოეული შუა ადგილას 3-4 სანტიმეტრის სიგრძეზე დანით ჩაჭერით, შუა გული ცოტათი ამოაჭერით, ჩაყარეთ შიგ ძალიან ცოტა მარილი, დააფარეთ სუფთა ტილო და გააჩერეთ ერთი საათი. ოთხი ღერი ქინძი, ორი კბილი ნიორი, წიწაკა (რამდენიც გსურთ) და მარილი დანაყეთ ერთად. დაუმატეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ორი თავი ხახვი, ხუთი ღერი ნიახური, ოთხ-ოთხი ღერი ოხრახუში, რეჰანი, ქინძი და კარგად აურიეთ ერთმანეთში.

მარილიანი ბადრიჯანი სათითაოდ გაწურეთ ისე, რომ მთლიანობა არ დაუკარგოთ. შემდეგ თითოეული ბადრიჯნის ჩაჭრილი სივრცე ამოავსეთ ზემოაღნიშნული მასალით, დააწყვეთ ერთ ფენად ზეთიან (ორი-სამი სუფრის კოვზი) ტაფაზე, და შეწვით ყოველი მხრიდან (შემწვარი ბადრიჯანი რბილი უნდა იყოს).

600 გრამი პამიდორი დაჭერით, მოხარშეთ, გაატარეთ თუშფალანგში, შეაზავეთ მარილით და წიწაკით.

მზა ბადრიჯანს დაასხით მოხარშული შეზავებული პამიდორი, ცოტა ხანს ადუღეთ და გადმოდგით ცეცხლიდან. მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი.

სუფრაზე შეგიძლიათ მიიტანოთ როგორც ცივად, ისე ცხლად.

### ბადრიჯანი სტაფილოთი

5 ცალი ბადრიჯანი გარეცხეთ და სიგრძეზე გაჭერით ისე, რომ ერთმანეთს არ მოაცილოთ, მოაყარეთ მარილი, დააფარეთ სუფთა ტილო და გააჩერეთ 1 საათი. შემდეგ გაწურეთ ხელით, დაალაგეთ ზეთიან ცხელ ტაფაზე და შეწვით ყოველი მხრიდან. რგოლებად დაჭრილი 3-4 ცალი სტაფილი მოშუშეთ ზეთში. დაჭრილი ორი თავი ხახვი, მწვანილი (რეჰანი, ქონდარი, ქინძი, ნიახური) მარილთან ერთად დანაყილი ნიორი ერთმანეთში აურიეთ. მიღებული მასალით ამოავსეთ გამზადებული ბადრიჯანი, დააწყვეთ შესაფერ ჭურჭელზე, მოასხით დანაყილი ნივრით, ქინძით და წიწაკით შეზავებული პამიდვრის წვენი.

### მწვანე ლობიო პამიდვრით

მწვანე ლობიო (500 გრამი) მოხარშეთ ჩვეულებრივი წესით და გადაიტანეთ თუშფალანგში. 3 თავი ხახვი დაჭერით წვრილად, ჩაყარეთ ქვაბში, დაუმატეთ მცენარეული ზეთი და მოშუშეთ. შემდეგ შეურიეთ მოხარშული ლობიო. უყავით მარილი, დაუმატეთ მცენარეული ზეთი და ერთად მოშუშეთ. წინასწარ მოხარშული პამიდორი (400 გრამი) ჩაუმატეთ ლობიოს, ხარშეთ 5-10 წუთი, მერე ჩააყარეთ თქვენს გემოზე წვრილად დაჭრილი მწვანილი (რეჰანი, ქონდარი, პიტნა, ქინძი, ოხრახუში, ნიახური, ტარხუნა), შეურიეთ დანაყილი ნიორი და წიწაკა (გემოვნებით) და ხუთი წუთის შემდეგ გადმოდგით.

### კარტოფილის ჟაურმა

გარეცხილი, წვრილად დაჭრილი 400 გრამი ხახვი ჩაყარეთ ქვაბში, დაუმატეთ ცხიმი (100 გრამი), დაახურეთ სახურავი, დადგით ცეცხლზე და ჩათუთქეთ. შემდეგ დაუმატეთ დაჭრილი 500 გრამი კარტოფილი, დაასხით იმდენი წყალი, რომ დაიფაროს და მოხარშეთ. ხარშვის დასასრულს შეაზავეთ წვრილად დაჭრილი ქინძით, მარილით და რამდენიმე ადგილას დააყარეთ მთელ-მთელი ნედლი ტყემალი (გემოვნებით).

თუ გსურთ, შეგიძლიათ ტყემლის მაგივრად დაასხათ კარგად გათქვეფილი კვერცხი (2 ცალი).

**თამარ სულაქველიძე**

გარეკანის პირველ გვერდზე: ქობულეთის მე-3 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ნანი ქათამაძე ჩაის პლანტაციაში; მეოთხე გვერდზე — მტკვრის ხეობა. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი. ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)
ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 7/IX-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X-77 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 123 000; შეკვ. 2755 უე 00834 ფასი 30 კაპ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ფერად-ფერადი

## განცხადება დედებისათვის

ამას წინათ ნოტინჰემის საქალაქო გაზეთმა გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება: ,,დედებო! ჩაიწერეთ ტელეფონის ნომერი და დაგვირეკეთ მაშინვე, როგორც კი შეატყობთ, 'რომ თქვენმა ქმარმა ბავშვს თვალი დაადგა. გარკვეულ საფასურად შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მიიღოთ სათანადო რჩევა, საჭიროების შემთხვევაში კი — დახმარებაც''.

როგორც გაზეთი ,,დეილი მირორი'' წერს, ბავშვების გალახვამ ინგლისურ ოჯახებში უკანასკნელ დროს კატასტროფულ მასშტაბს მიაღწია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თანამედროვე ინგლისელი ჯენტლმენი შინ მისვლისთანავე უმალ ჯოხს დაავლებს ხოლმე ხელს. ,,იგი მზად არის, — წერს გაზეთი, — უმოწყალოდ სცემოს შვილს მაშინაც კი, თუ იგი ტელევიზორით სპორტული გადაცემის ყურებას უშლის ან ლუდის ბოთლს გატეხს''

## ქალი მაინც ქალია

ქალაქ უილინგის (აშშ, დასავლეთ ვირჯინიის შტატი) რადიოსადგურმა მოაწყო ,,ნაწნავიანი მოხუცი ქალების ლატარია''. მან გამოაცხადა, რომ თითოეულ მსმენელს შეუძლია თავისი სახელის შეტანა ,,მოხუცი ქალების სიაში''. შემდეგ გათამაშდება ,,იღბლიანი ბილეთები''. ვისაც ,,ბედი გაუღიმებს'' რადიოსადგურის ხარჯზე უფასო... დასაფლავების უფლება მიეცემა, თუ ისინი სატრანსპორტო ავარიის შედეგად დაიღუპებიან. სადგურის პატრონთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა არც ერთმა რადიომსმენელმა არ ისურვა ესარგებლა ამ მაცდუნებელი წინადადებით.

## საცოლე—50 გირვანქა სტერლინგად

**უმუშევარ** ახალგაზრდა ინგლისელ ქალებს ამიერიდან ახალი ხელობა გაუჩნდათ, წერს ინგლისური გაზეთი ,,დეილი ტელეგრაფი''. საქმე ის არის, რომ მოქმედი კანონმდებლობით, აზიისა და აფრიკის ქვეყნების მოქალაქეებს ინგლისში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლა მაშინ შეუძლიათ, თუ ინგლისელ ქალზე დაქორწინდებიან. ამ კანონმდებლობით ისარგებლეს საქმოსნებმა და პატარძლების ,,გასაქირავებელი'' კანტორაც კი შექმნეს. მისი მეშვეობით მსურველს ხელმისაწვდომ ფასად — 50 გირვანქა სტერლინგად შეუძლია მომავალი ,,ცოლის'' გაცნობა.

ქალიშვილი შარონ გრეი, მაგალითად, სხვადასხვა სახელით და გვარით 12-ჯერ ,,გათხოვდა'', კანტორის ერთ-ერთი კლიენტი ქალიშვილი კი ერთ თვეში — სამჯერ.

# დიდები და პატარები

,,ამდენ და ამდენ ფრანკს, ტანსაცმელს, სრულ შენახვას ვპირდები მას, ვინც იკისრებს პასუხი გასცეს ჩემი სამი წლის შვილის შეკითხვებს''.

ბრანისლავ ნუშიჩი: ,,ავტობიოგრაფია''

სანამ ჩემი შვილები არ ალაპარაკდნენ, ეჭვიც კი მეპარებოდა კორნეი ჩუკოვსკის საუცხოო წიგნში (,,ორიდან ხუთამდე'') შეტანილ ბავშვთა გამონათქვამებზე. ნუთუ მართლა ასე ხატოვნად, ასე მოხერხებულად შეუძლიათ სამი წლის პატარებს აზროვნება და ლაპარაკი.

მერე საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ეს შესაძლებელი ყოფილა.

აქ მოყვანილი შეკითხვები და დიალოგებიც სამი წლის ასაკშია წარმოთქმული.

## თავგანწირვა

სტუმრად მყოფ თეას დიდი ჩურჩხელა მისცეს. თეამ ჩურჩხელა მარტომ შეჭამა.

— შვილო, მე რატომ არ მიწილადე?

— ძალიან დიდი იყო და, შემეშინდა, დედიკო არ დაიხრჩოს-მეთქი.

## არაფერს არ აფუჭებს

ოთახში, სადაც ბავშვები თამაშობენ, საეჭვო დუმილი ჩამოვარდა.

— თეა, ნათია რას აფუჭებს?

— არაფერს არ აფუჭებს, დედიკო, თავისთვის ზის, ჟურნალს ხევს და ჭამს.

## გააჯავრეს

— დედა, თინა დეიდამ გამაჯავრა.

— რატომ?

— კედელზე დავუხატე და მაინც გამაჯავრა.

## პარალელი

— საჭმელებში სოსისი მიყვარს, ადამიანებში — დედა.

ნარგიზა მგელაძე



ИНДЕКС 76178